კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№118 (874) 11 - 12 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

საკაშვილისა და პუტინის შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

გვ. 7

ნაციონალების ანტისემიტური პროვოკაციის საიდუმლო გეგმა — ადვოკატები კვეზერაშვილის დაცვას მის ებრაელობაზე ააგებენ?!

„კოალიციაში არ მეგულება ისეთი გარეკილი, რომელიც ოპოზიციაში გადასვლას მოინდომებს!“

რას ფიქრობს დავით ბერძენიშვილი ირაკლი ღარიბაშვილზე და როგორ მოხვდა დავით უსუფაშვილი დავით ბაქრაძის საარჩევნო კიბეში

გვ. 3

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ახალი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე

გვ. 2

ხელისუფლების ეკონომიკური ბლეფი და სისტემური კრიზისი

დემურ გიორხელიძე აგრობანკის შექმნის ინიციატივით გამოდის

გვ. 4

თბილისში, „იდეინტობის“ ინიციატივით, უსახლკაროებისთვის ახალი თავშესაფარი იხსნება!

გვ. 8

გია კორკოტაშვილი: „საზოგადოება ერთი ნოკაუტიდან გამოვიდა და მეორეში ჩავარდა!“

გვ. 5

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ახალი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე

კბილაშვილის შემცვლელის დოსიე — დავით კეზერაშვილის, გიგი უგულავას, გია ნაცვლიშვილისა და სხვა ნაციონალთა სკანდალური საქმეების გამოძიება და კორუფციული სქემების გაშიფვრა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მთავარი პროკურორის თანამდებობაზე არჩილ კბილაშვილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი ოთარ ფარცხალაძე ჩაანაცვლებს. ვინ არის და რა ქონებას ფლობს ოთარ ფარცხალაძე? „ვერსია“ მომავალი მთავარი პროკურორის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ. ცნობისთვის: ოთარ ფარცხალაძის სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მისი ხელმძღვანელობით გამოიძია და მაღალი თანამდებობის პირებს ბრალი ოფიციალურად წაუყენა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, ოთარ ფარცხალაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 5 ივნისს შეავსო. ჰყავს მეუღლე ქეთევან ცქვიტინიძე და 13 წლის შვილი, დავით ფარცხალაძე. მომავალი მთავარი პროკურორი თბილისში, მგალობლიშვილის ქ. №13-ში, 76.28 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს ფლობს. ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა, 1994 წელს გამოშვებული Toyota 4-runner, სახელმწიფო ნომრით — XIX 543. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ოთარ ფარცხალაძემ სარემონტო სამუშაოებში 15 000 ლარი დახარჯა.

ოთარ ფარცხალაძის მიმდინარე სახელფასო ანგარიში ლიბერთი ბანკში 2 010 ლარია, მეუღლეს, ქეთევან ცქვიტინიძეს კი თიბისი ბანკში, 8 000-ლარიანი ანაბარი აქვს გახსნილი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას, ფარცხალაძის წლიური შემოსავალი 74 170 ლარი იყო.

ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა, რომ ოთარ ფარცხალაძემ 2013 წლის 21 მაისს, ლიბერთი ბანკიდან, სესხის სახით, 26 350 ლარი აიღო, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, 2016 წლის 2 თებერვალს უნდა დაფაროს. დეკლარაციაში მითითებულია, რომ ფარცხალაძემ 11 350 ლარი უკვე გადაიხადა. თანამდებობაზე ყოფნის პარალელურად, ოთარ ფარცხალაძე შპს „ბოდი გარდის“ პარტნიორიც იყო, რომელიც თბილისში, ვაჟა-ფშაველას №45-ში მდებარეობს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი და გახმაურებული საქმე გამოიძია: ოთარ ფარცხალაძის ხელმძღვანელობით გაიხსნა სპირტის კონტრაბანდის გახმაურებული საქმე, რის გამოც თავდაცვის ექსმინისტრს, დავით კეზერაშვილს ბრალი წაუყენეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ოთარ ფარცხალაძის ხელმძღვანელობის პერიოდშივე, გახსნა რიყის, ტელეკომპანია „იმედისა“ და „თბილსერვისის“ საქმეები, სადაც ბრალდებულები თბილისის მერი, გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი არიან; „ნიუ ენერჯისა“ და „შპალების“ საქმე, რის გამოც ბრალი ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელს წაუყენეს; შპს „არტესის“ საქმე, სადაც ბრალდებულები გია ნაცვლიშვილი და ზაზა კაპანაძე არიან; „მენო ინტერნეიშენალის“ საქმე, სადაც ბრალდებული გიორგი კურცხალიაა. ცნობისთვის, „მენო ინტერნეიშენალს“ უკავშირდება ქუთაისის პარლამენტის მშენებლობა.

ილია მეორე: „უნდა აღვავლინოთ ლოცვები, რომ უფალმა ახალ ხელისუფლებას მისცეს სიბრძნე და გული კეთილი!“

„დღეს ახალი ცხოვრების წინაშე ვდგავართ“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოველში საკვირაო ქადაგებისას.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ერთ კვირაში იქნება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია და საქართველოს ახალი ხელისუფლებაც შეუდგება საქმიანობას.

„ჩვენ უნდა აღვავლინოთ ლოცვები, რომ უფალმა მისცეს მათ სიბრძნე და გული კეთილი. თუ მათ ექნებათ სარწმუნოება და სიყვარული, სასოება, იმედი, ყველაფერი კარგად იქნება“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა თავმდაბლობის მნიშვნელობაზეც იქადაგა. როგორც უწმინდესმა აღნიშნა, როდესაც ადამიანი მაღალ წოდებას იღებს, მას თავმდაბლობა უნდა მიემატოს.

„თუ თავმდაბლობა არ იქნა, მაღალი წოდება ღუპავს ადამიანს“, — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

„ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ექიმის კაბინეტი უნდა შეიქმნას“

„ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში აუცილებელია, ექიმის კაბინეტი განთავსდეს, სადაც პირველად სამედიცინო დახმარებას თანამშრომლებს ოპერატიულად გაუწევენ“, — აცხადებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ალექსანდრე ლომოური.

ლომოურის თქმით, საკანონმდებლო დონეზე უნდა მონესრიგდეს სახელმწიფო უწყებებში ექიმის კაბინეტის შექმნის ინიციატივა და მასზე კონტროლი შესაბამისმა უწყებამ განახორციელოს.

„მაგალითად, თუ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელი თავს შეუძლოდ იგრძნობს, მას დროულად ჩაუტარდება პირველადი სამედიცინო დახმარება იმავე უწყებაში განთავსებული ექიმის კაბინეტში. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება კი საჭირო მაშინ გახდება, როცა პირველადი სამედიცინო დახმარების შემდეგ, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება და მისი ჰოსპიტალიზაცია აუცილებელი იქნება“, — განმარტავს ლომოური.

მისივე აზრით, ექიმის კაბინეტი უნდა შეიქმნას სამინისტროებში, ადგილობრივ და რეგიონულ გამგეობებში, გუბერნიებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში.

„ტაიმერი“

მსოფლიოში ცნობილმა ტრენერმა ფილ ვარვიკიმ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სემინარი ჩაატარა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიციურმა ტრენერმა, ფილ ვარვიკიმ, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს, სტუდენტებისა და ლექტორებისთვის სემინარი ჩაატარა და მსმენელებს LCCI-ის საერთაშორისო კვალიფიკაცია გააცნო. LCCI საერთაშორისო კვალიფიკაციას სხვადასხვა მიმართულებით — მარკეტინგი, ფინანსები, ბიზნესი, ადმინისტრირება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინგლისური ენა და ა.შ. — მსოფლიოში ცნობილი უამრავი კომპანია აღიარებს. აღსანიშნავია, რომ ფილ ვარვიკი მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ბრაზილიაში, ჩინეთში, იტალიასა და არგენტინაში მოღვაწეობდა, ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკაში ენის შემსწავლელი სკოლის დირექტორია, გაერთიანებულ სამეფოში კი — საელჩოს საზაფხულო სკოლის აკადემიური მხარის კოორდინატორი.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე იქნება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილს ალექსანდრე ჭიკაიძე შეცვლის. მინისტრობის კანდიდატი მოქმედმა შს მინისტრმა და მომავალმა პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დაასახელა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ალექსანდრე ჭიკაიძის ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია:

დაიბადა 1985 წლის 6 ივნისს ქ. თბილისში. 2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, დიპლომატიის სპეციალობით;

წოდება: პოლიციის პოლკოვნიკი;

პროფესიული გამოცდილება: 2013 წლის მარტიდან დღემდე — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი; 2012 -2013 წწ — შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი; 2011-2012 წწ — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი; 2010-2011 წწ — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი; 2009 წ — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი; 2008-2009 წლებში მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში; ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

22 წლის ნინო გვასალია მუხათწყაროს ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს

17 ოქტომბერს დაკარგული ნინო გვასალია მუხათწყაროს ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს, — ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა.

არსებული ინფორმაციით, გოგონამ თავი ჩამოიხრჩო.

22 წლის ნინო გვასალია სახლიდან 17 ოქტომბერს გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

„ინტერპრესნიუსი“

დავით დარახველიძე სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

შპს „აგრომშენ სერვისი“, შპს „ბლოკ ჯორჯია“, შპს „NBG“, სააქციო საზოგადოება „ტრანს მშენი“ და შპს „სენი“ ის კომპანიებია, რომლებიც თბილისსა და რეგიონებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებენ. შეხვედრაზე მინისტრმა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოისმინა. მშენებლებმა მინისტრს დეტალური ინფორმაცია წარუდგინეს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და რა ვადებში დასრულდება რეაბილიტაცია.

მიმდინარე წლის ბოლომდე 1000-ზე მეტი დევნილი ოჯახი მიიღებს ბინას, რაც იმას ნიშნავს, რომ დევნილთა სამინისტროს ერთწლიანი მუშაობის შედეგად 2000-მდე ოჯახმა, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროექტის ფარგლებში, გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

„ჯი-ეჩ-ენი“

„კოალიციაში არ მეგულება ისეთი გარეკილი, რომელიც ოპოზიციაში გადასვლას მოინდომებს!“

რას ფიქრობს დავით ბერძენიშვილი ირაკლი ღარიბაშვილზე და როგორ მოხვდა დავით უსუფაშვილი დავით ბაქრაძის საარჩევნო კლიპში

ეროსუდან შელია
557-100-768

მიუხედავად იმისა, რომ არჩილ კბილაშვილის გადადგომაზე საზოგადოება დიდი ხნის წინ ალაპარაკდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამდე, მისი განცხადება ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. შესაბამისად, კოალიციაში არსებულ დაპირისპირებაზე საუბარიც გააქტიურდა. რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ „ოცნების“ გუნდს კბილაშვილის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა.

— გუნდში, არჩილ კბილაშვილის მუშაობის ტემპთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა მართლაც იყო, მის მიმართ საინტერესო განწყობა გუნდის გარეთაც შეიქმნა: ერთის მხრივ, ყოფილი სპიკერის პოლიტიკური გუნდი აპელირებდა, რომ მთავარმა პროკურორმა ბევრი ნაციონალი დააკავა, იგივე პოლიტიკური ჯგუფის ძველ სპიკერ ნინო ბურჯანაძეს კი განსხვავებული პრეტენზია ჰქონდა და აცხადებდა, რომ კბილაშვილმა ცოტა ყოფილი მაღალჩინოსანი დაიჭირა. ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილ კბილაშვილი მაშინ გახდა მთავარი პროკურორი, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა თავი ოპოზიციის ლიდერად გამოაცხადა, საქართველოს ფარგლებსგარეთ კი ზოგიერთი პარტნიორისთვის მიხეილ სააკაშვილის ფასადური მმართველობა მოულოდნელი აღმოჩნდა.

— **არჩილ კბილაშვილის გადადგომის შემდეგ კოალიციის წევრები აცხადებთ, რომ ნაკლებად მკაცრი იყო...**

— დიახ, როგორც მე, ისე კოალიციის პოლიტსაბჭოს უმრავლესობა და თავად ბიძინა ივანიშვილიც არჩილ კბილაშვილს გარკვეულ საკითხებში არ ვეხმარებოდით. მაგალითად, ლადო ბედუკაძის საქმეში, როცა არჩილ კბილაშვილმა კოალიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, საკუთარი პრინციპულობა გამოამჟღავნა და ამ საკითხში შეუვალი იყო.

— **ანუ კბილაშვილის თანამდებობა ლადო ბედუკაძის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას შეეწირა?**

— არა მგონია... ასე რომ ყოფილიყო, არჩილ კბილაშვილი თანამდებობას მაშინვე დატოვებდა... მესმის, საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ხვდა, თან კბილაშვილის მმართველობის სწრაფ ტემპებს ზოგიერთები ანელებდნენ.

— **„ზოგიერთებში“ ვის გულისხმობთ, ლაშა ნაცვლიშვილს ხომ არა, რომელიც პროკურატურის რეალურ მმართველად სახელდებოდა?**

— ლაშა ნაცვლიშვილს როგორც პროკურატურაში, ასევე სხვა სტრუქტურებში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცილება აქვს და ვფიქრობ, მმართველობის დროს ორივე ერთმანეთს აბალანსებდა.

— **მართალია, მომავალმა პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი მთავარი პროკურორის პოსტზე ოთარ ფარცხალაძე წარადგინა, მაგრამ კულუარებში ამბობდნენ, რომ ეს თანამდებობა, შესაძლოა, ლაშა ნაცვლიშვილს ან თინა ხიდაშელს დაეკავებინა, თუმცა ისიც ითქვა, რომ მათი კანდიდატურა კოალიციაში რესპუბლიკელების გავლენის ზრდის საშიშროების გამო არ დამტკიცდა.**

— მთავარი პროკურორის პოსტზე თინა ხიდაშელის კანდიდატურა არც ერთ ეტაპზე არ განიხილებოდა — იგი პარლამენტში რესპუბლიკელების ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა, ამიტომ პირადად მე, ნებისმიერ შემთხვევაში, ამბრაზურასავით გადავეფარები პარლამენტიდან თინა ხიდაშელის წასვლას. ამას პარტიული ინტერესების პრაგმატულობიდან გამომდინარე გეუბნებით; მთავარ პროკურორად არც ლაშა ნაცვლიშვილის კანდიდატურა განხილულა, თანაც იგი პროკურატურაში რესპუბლიკელებს არ წარმოადგენს.

— **ახალი მთავარი პროკურორის ვინაობა ცნობილია, ახლა დაკავებების სერიასა და სამართლიანობის აღდგენის პროცესს უნდა ველოდეთ?**

— მთავარი პროკურორის შეცვლა, ბუნებრივია, საქმეს ვერ გაამარტივებს. ვნახოთ, პროცესები როგორ განვითარდება. ვფიქრობ, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის რანგში ახალ მთავარ პროკურორთან უფრო შეხმატკბილებულად ითანამშრომლებს. ზოგადად, პროკურატურაში უამრავი პრობლემა დაგროვდა — არ დაგვავიწყდეს, რომ ბოლო წლებში ქვეყანას შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდი ერთობლივად მართავდა — მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძის ფავორიტი ექვსი წლის განმავლობაში იყო, უბრალოდ, შევარდნაძის ერთმა ფრთამ მეორე დაამარცხა და ხელისუფლებაში მოვიდა.

— **მაშინ თქვენც მიხეილ სააკაშვილის გვერდით იდექით ანუ გამოდის, შევარდნაძის ერთ ფრთას წარმოადგენდით?**

— ჩვენ, კონსერვატორებსა და დანარჩენ ადამიანებთან ერთად, შევარდნაძეზე გავიმარჯვეთ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილთან ერთად არ მოვსულვართ ხელისუფლებაში. 9-წლიანი მმართველობის შემდეგ ამ ადამიანებმა იმდენი მოახერხეს, რომ მეორე ადგილი და არჩევნებში მიღებული 350 ათასი ხმა უხარიათ.

— **საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის ზრდა არაფერზე მიგანიშნებთ?**

— წინასაარჩევნო პროცესში საკმაოდ საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა: დავით ბაქრაძის საარჩევნო კლიპში მიხეილ სააკაშვილი ერთხელაც არ გამოჩენილა ანუ ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი ამომრჩევლებს ეუბნებოდა, რებრენდირებული ვარ და თუნდაც 7 ნოემბრის მოვლენებზე, ნაკლები პასუხისმგებლობა მაკისრიაო; სამაგიეროდ, მის კლიპში დავით უსუფაშვილი ვიხილეთ, რაც აბსოლუტურად არაკორექტული ნაბიჯი იყო. სანამ მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ოპოზიციის ლიდერი გახდეს, ნაციონალურ მოძრაობას არაფერი ეშველება.

— **პარტიის წევრები კი ირწმუნებიან, ნაციონალურ მოძრაობაში ყველაზე მაღალი რეიტინგი მიხეილ სააკაშვილს აქვსო.**

— ტყუიან... დღეს სააკაშვილის მთავარი ამოცანაა, თანაგუნდელებს უთხრას, შემამჩნიეთ, თქვენთვის ჯერ კიდევ საჭირო ვარო. მიხეილ სააკაშვილს კარგად ვიცნობ, ამიტომ ისიც კარგად ვიცი, რომ ხასიათიდან გამომდინარე ან ოპოზიციის ლიდერია, ან ქვეყნის პირველი პირი. ოპოზიციის ლიდერი უკვე იყო, შემდეგ კი, ცხრა წლის განმავლობაში, ქვეყანას ვიწრო წრესთან ერთად ერთპიროვნულად მართავდა, რა დროსაც მთელი თავისი პოლიტიკური რესურსი გაფლანგა და ახლა პარტიისთვის მხოლოდ ზედმეტი ბარგია. მათ ახალი რეალობა სჭირდებათ.

— **ისე, ახალი რეალობის წინაშე კოალიციაც აღმოჩნდა — ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, პარტიები კი პირადი გავლენის ზრდაზე უკვე ხმამაღლა საუბრობთ, მათ შორის, თქვენი პარტიის ახალი თავმჯდომარე ხათუნა სამნიძეც...**

— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის და საკონტროლო პაკეტს კოალიციაში შემავალ პარტიებს უთავისუფლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ

თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა იზრდება. ხათუნა სამნიძეც სწორედ ამაზე საუბრობდა და არა პირადი გავლენების მოპოვებაზე. რესპუბლიკურ პარტიას არ აქვს ილუზია, რომ დამოუკიდებელი ძალებით უახლოეს მომავალში ან ოდესმე, არჩევნებში 50%-ზე მეტს მიიღებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არამხოლოდ საქართველოში, დასავლეთშიც ძნელად მოიძებნება სუპერპოპულარული ლიბერალური პარტია. რაც შეეხება დაპირისპირებას, კოალიციის შიგნით არ მეგულება ისეთი გარეკილი, რომელიც ასეთ ვითარებაში ოპოზიციაში გადასვლას მოინდომებს — ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლა ძლივს მოვახერხეთ.

— **ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილმა ირაკლი ალასანიასა და თეა წულუკიანის მინისტრთა მომავალ კაბინეტში ყოფნა არ დაადასტურა, კოალიციაში თავისუფალი დემოკრატების დარჩენა საკამათო იყო...**

— თავისუფალი დემოკრატები ხელისუფლებაში საკმაოდ სოლიდურად არიან წარმოდგენილნი, ამიტომ მათ გარიყვაზე საუბარი აბსურდია — მსგავსი განწყობა კოალიციის გარეთ ხელოვნურად შეიქმნა. მოგეხსენებათ, რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები ლიბერალური ოჯახის წევრები ვართ, თან თანამშრომლობის მრავალი წელი გვაკავშირებს... იგივე შემიძლია ვთქვა კოალიციაში შემავალ დანარჩენ პარტიებზეც — ექვსივე პარტიას ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

ირაკლი ღარიბაშვილიც სულელი არ არის, კოალიციის რომელიმე პარტიულ სუბიექტთან ურთიერთობა გაირთულოს. აქ პოლიტიკური პრაგმატიზმზეა საუბარი, ამიტომაც მომავალმა პრემიერმა კანდიდატად დასახელებისთანავე განაცხადა, რომ მისი საქმიანობა კოალიციას ზიანს არ მიაყენებს.

— **მომავალი პრემიერი კოალიციაში შემავალი პარტიების „მძევალი“ ხომ არ იქნება?**

— ბიძინა ივანიშვილმა მომავალ პრემიერს ასეთი მთავრობა დაუტოვა, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის მძევალი იქნება. უბრალოდ, ივანიშვილის წასვლამ კოალიციის სუბიექტებისთვის საპასუხისმგებლო ზონა გამოათავისუფლა, პრემიერი კი ამ გუნდთან მჭიდროდ ითანამშრომლებს. დღეს კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებს შორის კონკურენციის მოთხოვნილება არ არის. ამაზე საუბარი ლოგიკური საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე იქნება, თუმცა იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ამ შემთხვევაში, გაერთიანებული ძალებით კიდევ ერთხელ წარვდგეთ ამომრჩევლის წინაშე.

დავით საგანელიძე კოალიციის დაშლას პროგნოზირებს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ოდესმე საკუთარ საქმიანობას დამოუკიდებლად გააგრძელებენ, თუმცა მათ ერთად ყოფნის ვალდებულება ოთხი წლის განმავლობაში აიღეს:

„ჩვენ შიგნით ნამდვილად არავითარი პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ოდესმე ეს პრობლემები დადგება იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რა თქმა უნდა, კოალიცია ოდესმე დაიშლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ოთხი წლის განმავლობაში ანუ კიდევ სამი წელი, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე, ადგილობრივ არჩევნებზე კი აუცილებლად ერთად გამოვალთ“.

„პირველი“

ირაკლი ალასანია ახალ მინისტრთა კაბინეტში პრინციპულ ცვლილებებს არ ელის

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას თქმით, მთავრობა გუნდურ მუშაობას ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების შემდეგაც გააგრძელებს:

„არანაირი პრინციპული ცვლილება ჩვენს კაბინეტში არ იგეგმება — ერთ გუნდად გავაგრძელებთ იმ საქმის კეთებას, რომელიც ერთი წლის წინ დავიწყეთ“.

ცნობისთვის: მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა, რომ თავდაცვის მინისტრი მის მთავრობაში პოსტს შეინარჩუნებს.

„პირველი“

რუსეთში სეპარატიზმი 3-დან 20-წლამდე პატიმრობით დაისჯება

რუსეთის დუმაში განსახილველად შესულია კანონპროექტი, რომელიც სეპარატიზმისთვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კანონპროექტის მიხედვით, 3-დან 20-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება მას, ვინც რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხის ქვეშ დააყენებს, სეპარატისტული მოწოდებებით გამოვა ან სეპარატისტებისადმი საჯარო სიმპათიას გამოხატავს.

თუ კანონპროექტს მიიღებენ, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსს ერთი მუხლი — „სეპარატიზმის პროპაგანდა“ დაემატება.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამ კანონპროექტის გაჩენა რამდენიმე სკანდალმა განაპირობა, რომელთა შემდეგ ისმოდა მოწოდებები, რუსეთისგან კავკასიის სახელმწიფოები ჩამოცილებულიყვნენ.

„ჯი-ეჩ-ენი“

აზერბაიჯანში ქართულ საქონელზე მოთხოვნა იზრდება

მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი, შარშანდელთან შედარებით, 15.8%-ით გაიზარდა და სამი კვარტლის განმავლობაში, 34 340 000 აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წლის იანვარ-სექტემბერში, ეს მაჩვენებელი 29 330 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. ცოცხალი საქონლის ექსპორტი, რომელიც ძირითადად, აზერბაიჯანში ხორციელდება, გაიზარდა. რაც შეეხება ცხვარს, საზღვარგარეთ რეალიზებული წვრილფეხა საქონლის მოცულობა, შარშანდელთან შედარებით, უმნიშვნელოდ, 176 000 აშშ დოლარით შემცირდა და 8 159 000 აშშ დოლარი შეადგინა. ქართული ცხვრის ექსპორტის მოცულობა უცვლელია და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, 13-17 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს.

BPI

მთავრობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას იწყებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ შეიქმნა. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, სოფლის მეურნეობა რეალური პრიორიტეტი გახდა:

„დარგის განვითარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი და უპრეცედენტო პროგრამა განხორციელდა. საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონი მიიღო. კანონის მიხედვით, შეიქმნა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს“, — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

BPI

2014 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდება

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში სერიოზულ პრობლემებს ხედავენ, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ასევე ეკონომიკის ექსპერტები. სხვადასხვა გაანგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტს 1 მილიარდი ლარი დააკლდება, რაც მთავრობას საშუალებას არ მისცემს, სრულფასოვნად დააფინანსოს პენსიები, ხელფასები და შეასრულოს სხვა სოციალური ვალდებულებები.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ეჭვს ისიც აღრმავებს, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპი გაცილებით დაბალია, ვიდრე ბიუჯეტის დაგეგმვისას იყო. მთავრობამ კი მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, 700 000 000 ლარის მოცულობის საგარეო ვალის აღება გადაწყვიტა.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, რომ მთავრობა ფრთხილად უნდა იყოს. გიორგი ბარამიძისა და ნაციონალური მოძრაობის სხვა წარმომადგენლების განცხადებებს, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ოპტიმისტური კომენტარით უპირისპირდება. მინისტრის თქმით, ყველაფერი ძალიან კარგადაა, საქართველოს ეკონომიკაში აღმავლობაა და ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ უახლესი მონაცემებით, ბიუჯეტში შემოსული თანხა ვერ აბალანსებს გადასახდელებს. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, ნინო ევგენიძის განცხადებით, ბიუჯეტის შესრულება კითხვის ქვეშ დგას. საბიუჯეტო პრობლემების ძირითად მიზეზად, სპეციალისტები ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას ასახელებენ. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ნავარაუდევზე უფრო ნაკლებად იზრდება და 6%-ის ნაცვლად, მხოლოდ 2%-ია.

რადიო „თავისუფლება“

ხელისუფლების ეკონომიკური ბლეფი და სისტემური კრიზისი

დემურ გიორხელიძე აგრობანკის შექმნის ინიციატივით გამოდის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სისტემური კრიზისი, 600 000 000 ლარით გარღვეული 2013 წლის ბიუჯეტი, 2014 წლის ბიუჯეტში არსებული დეფიციტის შესავსებად საჭირო აუცილებელი სესხი და 9 წლის განმავლობაში დეგრადირებული ეკონომიკა — ასეთია ანალიტიკოს დემურ გიორხელიძის შეფასება. კრიზისის დასაძლევად კი სახელმწიფო დონეზე ანტიკრიზისული მენეჯმენტის შექმნაა აუცილებელი, თორემ შესაძლოა, ვითარება ისე გამწვავდეს, 2014 წელს უფრო ღრმა კრიზისში აღმოვჩნდეთ. რა უნდა გააკეთოს მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა, როგორ უნდა დაასაქმოს ასიათასობით უმუშევარი და რატომ უნდა შეიქმნას აგრობანკი? — „ვერსიას“ ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე ესაუბრა.

— ბატონო დემურ, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 600 000 000 ლარის გარღვევაა, ეს რას ნიშნავს?

— მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა, წლის განმავლობაში, დაგეგმილი 6%-ის ნაცვლად, შესაძლოა 2-2.5% იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაგეგმილი შემოსავლები ბიუჯეტში არ შევა, რადგან არ შეიქმნა პროდუქცია, მომსახურეობა და ადამიანებმა გადასახადი ვერ გადაიხადეს. თუ ხალხი არ შრომობს, არც პროდუქცია და მომსახურეობა იქმნება... ამაზე ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში ვწერდი, რადგან მაშინვე ჩანდა, რომ ამ ქვეყანაში არაფერი განვითარდებოდა — საკანონმდებლო დონეზე ინიციატივები არ ჩანდა, რომელიც იმ სიმახინჯეს შეცვლიდა, რასაც 9-წლიანი ეკონომიკური პოლიტიკა — ბიზნესის, კერძო სექტორის განადგურება და ადამიანების ტოტალური უმუშევრობა ჰქვია. მთავარი კი ისაა, რომ ინსტიტუციონალური ცვლილებების გეგმა არ გვაქვს, არადა, ეს ცვლილებები სპრინტი არ არის და მომენტალურად ვერ განახორციელებ. მკაცრად გათვლილი ეტაპობრივი ინიციატივები უნდა ყოფილიყო და რაკიღა არ გვქონდა, რაკი საქმიანობის დაწყების მსურველი ასიათასობით ადამიანი კვლავ ვერ იწყებდა მუშაობას, ბუნებრივია, არც მაღალი ეკონომიკური ზრდა გვექნებოდა.

— ამასობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 3.75%-ით განსაზღვრა, მაგრამ ამას კომერციული ბანკებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. რა ხდება?

— ქვეყანაში სისტემური კრიზისია. პრობლემა ისაა, რომ საქართველოში ინსტიტუტები არ ფუნქციონირებს და საკუთარ ფუნქციას არც სახელმწიფო ინსტიტუტები ასრულებს, ქვეყანას პერსონალურად ვმართავთ და არა ინსტიტუტების დონეზე. შესაბამისად, საქმიანობის საკმაოდ დაბალი ეფექტი გვაქვს, რადგან ძალიან კარგი ადამიანები საქმეს თავს ვერ ართმევენ. იმის თქმა, რომ საქართველოს მთავრობაში ცუდი ადამიანები არიან, დიდი უსამართლობა იქნება, მაგრამ საკუთარი სამინისტროების დონეზე, რაიმე საქმეს კეთების მცდელობა, შედეგს არ გვაძლევს. სისტემური კრიზისი, ამ კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსურ, ხისტ და მკაცრად დეტერმინირებულ მოქმედებებს მოითხოვს, ცალკეული სამინისტროების მოქმედება კოორდინირებული უნდა იყოს და ერთიან ეფექტს გვაძლევდეს. ეროვნული ბანკი თავისი ინსტრუმენტებით ცდილობს, რეფინანსირების ანუ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი დაწიოს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ, ეროვნული ბანკისგან თანხა 3.75%-ის ფარგლებში ისესხონ. თუ საქართველოს საბანკო სისტემას დააკვირდებით, ბანკების საპროცენტო განაკვეთები და მოთხოვნები არანორმალურია. თითქოს საპროცენტო განკვეთი დაწიეს, მაგრამ ბიზნესისთვის კომერციული ბანკები კვლავ დახურულია, რადგან ბიზნესი ბანკების საშინელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ეროვნულ ბანკს ნულოვანი პროცენტი რომ გამოეცხადებინა, კომერციულ ბანკებს რეაქცია მაინც არ ექნებოდათ და სესხებს ისევ 15%-ად გასცემდნენ. მოკლედ, ეროვნული ბანკის ინსტრუმენტი არ მუშაობს, რადგან სამთავრობო პოლიტიკა, რეგულაციები, შეზღუდვები აკლია, რაც კომერციულ ბანკებს ასეთი საქმიანობის საშუალებას არ მისცემს. კომერციულ ბანკებზე ჯოხის გადატეხვაც არ იქნება სწორი, რადგან მთავრობისა და ხელისუფლების ბრალია, ფინანსური სისტემა მხოლოდ კომერციული ბანკების დონეზე რომაა. ბანკების ალტერნატივა, იგივე ფინანსური ფონდებისა თუ საინვესტიციო კომპანიების სახით, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებს. დააკვირდით, თითქოს, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, მაგრამ სინამდვილეში, ეს ერთი წელი წყალში გადავყარეთ და მხოლოდ პიარი დაგვრჩა, რომლის მიხედვითაც, სოფელი აღორძინდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზეც ვთქვი, რომ აუცილებელია, მიზნობრივი აგრობანკი შეიქმნას. იქ კი მიპასუხეს, რომ ფრანგებს ელოდებიან, რომლებმაც კონცეფცია უნდა შეიმუშაონ, იმუშავებს თუ არა აგრობანკი საქართველოში. მითხარით, ფრანგების ლოდინი რად უნდა იმას, რაც ქვეყნის განვითარებას სჭირდება? მათთან შეიძლება, კონსულტაცია გავიაროთ, რადგან შესანიშნავად იციან, როგორ მოუარონ სოფელს... ასეთი უინიციატივობა და სქემატურობა შედეგიანი ნამდვილად არ იქნება. როგორც ერთი წლის წინ იყო მიტოვებული მცირე და საშუალო ბიზნესი, წელსაც ისევეა. საიდან გვექნება ეკონომიკური აქტივობა, თუ ასიათასობით ადამიანი არაფერს ქმნის და არ შრომობს? საიდან გვექნება ბიუჯეტში თანხა, ან ეს გარღვევა რატომ გიკვირთ?

— მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაში აგრობანკის შექმნას გულისხმობთ?

— აგრობანკი უალტერნატივოა, მაგრამ საჭიროა ფონდები, რომლებიც ხელს შეუწყობს კოოპერაციულ მოძრაობას და კოოპერატივებში ფინანსური რესურსების კონცენტრირებას მოახდენს. სოფელზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს მსოფლიოში გამოცდილი მეთოდია, რადგან სოფლის მეურნეობაში ყველაზე სწრაფად შეიძლება შედეგის მიღწევა, რაც ავტომატურ გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვა სექტორებზეც. ამიტომ სოფელზე მხოლოდ ლირიკული გადახვევებით კი არ უნდა ვისაუბროთ, პრაგმატული მიდგომაა საჭირო. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ფეხზე დაყენება იმას ნიშნავს, რომ უამრავი ადამიანი გაიჩენს შემოსავალს. ჯერჯერობით, მთავრობას დასახული არ აქვს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ინოვაციურ რელსებზე უნდა გადავიყვანოთ, რასაც 8-10 წელი დასჭირდება, პარალელურად კი, ისეთი თესლი უნდა ჩავყაროთ, რაც ინოვაციურ ეკონომიკას აამუშავებს. მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს, სადაც ყველა ნოვაცია და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები განხორციელდება. ამისთვის ყველაფერია ქვეყანაში, სახელმწიფოს გარდა, რომელიც ამაზე იქნებოდა ორიენტირებული. მთავრობას სწორი ორიენტაცია სჭირდება, რათა არსებული რესურსი გამოიყენოს.

— ხაზს ასიათასობით ადამიანის კეთილდღეობას უსვამთ, მაგრამ სხვადასხვა ფონდი ხომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად იქმნება?

— ჯერჯერობით, არ ვიცი, რა კეთდება, რაღაც მსმენია, მაგრამ ერთია გაგონილი საქმე, რეალიზებული კი — სხვა. ერთადერთი, რასაც ვხედავ, შეუსაბამობაა მთავრობის პოლიტიკაში, როდესაც აქცენტი კეთდება თანაინვესტირების ფონდზე, როგორც უდიდეს მიღწევაზე, რომლითაც დიდი პროექტები უნდა განხორციელდეს. რაოდენ დიდი პროექტიც უნდა განახორციელოთ, ნულოვანი შედეგი გექნებათ, რადგან ქვეყანაში, სადაც არაფერს აწარმოებთ, სადაც ჯანსაღი მუშახელის 70% დაუსაქმებელია, დიდი პროექტებისთვის გარედან მოძიებული ფული სხვა ქვეყანაში გავა, ჩვენ კი ეკონომიკის ფორმალური ზრდა დაგვრჩება ანუ ის, რაც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა და რაც თავიდან ბოლომდე ბლეფია! ჩემი ალტერნატივა სულ სხვაა — როდესაც ასიათასობით ადამიანი შრომობს, თავის საქმეს აკეთებს და შემოსავალს იღებს, კეთილდღეობა იზრდება, ბაზარი ცოცხლდება და ჩნდება სტიმული, რომ საკმაოდ შეძლებული ანუ მსყიდველობითუნარიანი გადამხდელის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. ამას კი მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე მივაღწევთ, რაც არ გვაქვს და ვერც ამის მონახაზს ვხედავ. სამაგიეროდ, გვაქვს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი — 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, სადაც ყველაფერი წერია. შემიძლია, დაზუსტებით გითხრათ, რომ 2014 წელიც ისეთივე იქნება, როგორიც 2013, რადგან საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებებს ვერ ვხედავ. 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში არავითარი გამრლვევი სახელმწიფო პროგრამები, არავითარი ინიციატივები არაა, მშპ-ს ზრდა 5%-ის დონეზეა გათვალისწინებული, მოვიშველიოთ მსოფლიო ბანკი, რომელმაც „გაგვახარა“ და გვითხრა, მშპ-ს ზრდა 6% იქნებაო, მაგრამ ეს ხომ აშშ-ს ან გერმანიის ბიუჯეტი არ არის, სადაც 5%-სა და 6%-ს შორის, მართლაც, დიდი სხვაობაა? ჩვენ საცოდავი, უსაშველოდ პატარა ეკონომიკა გვაქვს, რომელიც გნებავთ, 5%-ით გაზარდეთ, გნებავთ, 6%-ით, აბსოლუტურად ერთნაირ შედეგს მოგცემთ.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვის მიიჩნევს „ოცნებაში“ „ბლაგვ ხმლად“ და რატომ სჯერა ივანიშვილისა და ღარიბაშვილის გია კორკოტაშვილს

„საზოგადოება ერთი ნოკაუტიდან გამოვიდა და მეორეში ჩავარდა!“

ირუსუდან შელია
557-100-768

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში ამომრჩეველს ასე მიმართა: „მარგველა — პირველზე, ნინო — მეორეზე (პერსპექტივებით), მესამეზე — ვინც გინდათ!“ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ კი ყველა „ჯიგარს“ სასტუმრო „საქართველოსთან“ შეკრებასა და ნაციონალური მოძრაობის მიერ მოპოვებული მეორე ადგილის გაპროტესტებას მოუწოდებდა. მსახიობი და ტელეწამყვანი გია კორკოტაშვილი „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლასაც აანონსებს.

— საპრეზიდენტო არჩევნებამდეც კარგად ვიცოდით, რომ ძირითადი ბრძოლა გიორგი მარგველაშვილს, დავით ბაქრაძესა და ნინო ბურჯანაძეს შორის გაიმართებოდა. პირადად ჩემთვის, მთავარი მეორე ადგილზე გასული პოლიტიკური ძალა იყო, რადგან ამით ქვეყანაში მეორე ოპოზიციური პარტია ფიქსირდებოდა.

— არჩევნებამდე პოლიტიკური პოზიცია არ დაგიმალავთ და ამომრჩეველს ღიად მოუწოდეთ, ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასასვლელად ებრძოლა. არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ კი პასიური გახდით და პოლიტიკურ განცხადებებსაც აღარ აკეთებთ. შედეგმა გაგანაწყენათ?

— არა, ამომრჩეველს მოვუწოდე, ფხიზლად იყავი და დაღლილობისა თუ იმედგაცრუების მიუხედავად, საარჩევნო ურნასთან მოდი-მეთქი. შემდეგ, ამომრჩეველი ბიულეტენში ვის გვარს შემოხაზავდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, საარჩევნო ურნასთან მდგომი ქართველი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. დიახ, ნაციონალებს ჯერ კიდევ ჰყავთ შენარჩუნებული ელექტორატის საკმაოდ მცირე ნაწილი. სამაგიეროდ, მოქალაქეების უმრავლესობა მზადაა, მათ რაღაც ცუდი გაუკეთოს, რადგან ცხრა წლის განმავლობაში გვაწამეს — ვინც მოასწრეს, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გააუპატიურეს. არ ვიცი, ევროპას უნდოდა ამ შედეგის დანახვა თუ ახლა დაინახა მეორე ადგილზე გასული ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციურ ძალად, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ფაქტი დაფიქსირდა — დავით ბაქრაძე და ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაა. ეს კი სირცხვილია.

— ისე, ნინო ბურჯანაძე ყოფილი ნაციონალია, თანაც საზოგადოების ნაწილისთვის დიდი ხანია პრორუსულ ძალად აღიქმება.

— ევროპისკენ ურჩევნია ქართველ ხალხს თუ დასავლეთისკენ, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

— სანამ ქართველი ხალხის სახელით ისაუბრებთ, თქვენი პოზიცია დააფიქსირეთ — დასავლეთს რუსეთთან ინტეგრაციას ამჯობინებთ?

— მესმის, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ცუდ ნაბიჯებს დგამს, რუსები მოსაფერებლებიც არ არიან, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი მხოლოდ რუსი პოლიტიკოსები არ არიან.

— და თუ რუსი პოლიტიკოსების გადაწყვეტილებით, საქართველო ტერიტორიებს კარგავს, სახალხო დიპლომატიაზე საუბარი არაადეკვატურად არ გეჩვენებათ?

— იცით რა, პატრიარქმა განაცხადა, თუ თქვენს წინ უზარმაზარ კედელს დაინახავთ, მაინცდამაინც ნუ შეასკდებით, გზა მოძებნეთ და კედელს შემოუარეთო. ნინო ბურჯანაძეს ამ მიმართულებით თავის შეხედულებები აქვს, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მომხრე არ ვყოფილვარ.

— მაშინ, თქვენი წინასაარჩევნო მოწოდებები როგორ გავიგოთ?

— საერთოდ, არც ერთი კანდიდატის მომხრე არ ვყოფილვარ, უბრალოდ, ვამბობდი, რომ ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილზე გასვლა დაუშვებელი იყო, თანაც მის მიერ მოპოვებული 20% მხოლოდ იმის შედეგია, რომ არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 48% მოვიდა. სამწუხაროა... რამდენი ხანია, ოპოზიციურ მოძრაობაში ვომობ, ხშირად დამდგარა მომენტი, ხელისუფლებასთან ბრძოლის გაგრძელება ერთ ან ორ ადამიანს გადაუწყვეტია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მაშინ საზოგადოება ბევრად შეკრული იყო და ნაციონალური მოძრაობის წინაალმდეგ ბრძოლაში ტყვიასაც არ მორიდებია.

— იქნებ, ტყვიებსა და მანიფესტაციებს საზოგადოება ახლა მშვიდ პოლიტიკურ ცხოვრებას ამჯობინებს?

— იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოება ნიჰილიზმშია — ერთი ნოკაუტიდან გამოვიდა და მეორეში ჩავარდა. არადა, „ქართული ოცნების“ მიმართ საზოგადოებას მოლოდინი ჰქონდა, რომ ერის ხმალი გახდებოდა. სამწუხაროდ, კოალიციაში ბევრი ბლაგვი აღმოჩნდა. რა წყალში გადავარდეს ის კაცი, რომელიც ამ ხელისუფლებას მიენდო, მის გასამარჯვებლად სიცოცხლე გაწირა, თუმცა პროკურატურაში მისვლისას აღმოაჩინა, რომ უწყებაში ისევ ის პროკურორი მუშაობს, რომელმაც ქონება წაართვა და ოჯახი დაუტერორა?!

— მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი თანამდებობიდან გადადგა, კოალიციაში კიდევ ვინ მიგაჩნიათ „ბლაგვ ხმლად“?

— სიმართლე გითხრათ, ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი მარგველაშვილის იმედი ჯერ კიდევ მაქვს, ამიტომ ველოდები, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება. თუ ეს პროცესი არ დაიწყო და ისევ მოტყუებული აღმოვჩნდი, გაჩერებასა და ჩუმად ყოფნას ნამდვილად არ ვაპირებ, არ ვიცხოვრებ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც ჩემი მეგობრები, მეზობლები თუ თანამოქალაქეები აწამეს. ამ ქვეყანაში სამართალმა პური უნდა ჭამოს!

— მამუკა არეშიძესთან, ირაკლი კაკაბაძესა და საზოგადოებისთვის სხვა ცნობად ადამიანებთან ერთად, მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობა“ შექმენით, რომლის დაარსების ძირითადი იდეა კოჰაბიტაციასთან ბრძოლასა და ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში დაზარალებული მოქალაქეებისთვის დახმარებაში მდგომარეობდა. თქვენი ორგანიზაციის მიერ მიღწეული ერთი კონკრეტული შედეგის დასახელება შეგიძლიათ?

— ჩვენი პირველი შედეგი ის იყო, რომ „პირველ არხზე“ კვესიტაძისა და პაიჭაძის დაბრუნება არ დავუშვით. მაშინ თამაზ ტყემალაძე არხის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან, ფაქტობრივად, მოხსნილი იყო. სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებზეც საკმაოდ ეფექტურად ვიმუშავეთ.

გაიხედეთ ქუჩაში, ხალხი გაუბედურებული სახეებით დადის. მათ იმის იმედიც კი წაართვეს, რომ ქვეყანაში სამართალი აღდგებოდა. ვიცი, ქართველი კაცი ამ ნოკაუტიდანაც გამოვა და შემდეგ უკვე აგორებულ ტალღას ვერაფერი შეაჩერებს.

— „ტალღის აგორება“ როგორ წარმოგიდგენიათ?

— 17 ნოემბრამდე გავჩერდებით. ინაუგურაციას ველოდებით, რადგან უნამუსობა იქნება, ახლა ვინმეს მივახტეთ. ვნახოთ, როგორ შეასრულებს გაცემულ დაპირებებს გიორგი მარგველაშვილი და, მასთან ერთად, ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებით უხელმძღვანელა. ჩვენი მიზანი ვიღაცისთვის სახის ჩამოკანვრა არ არის, პირიქით, ბედნიერი ვიქნები, თუ პოლიტიკით საერთოდ აღარ დავინტერესდები და ამ პროცესს თვალ-ყურს დურბინდით, შორიდან მივადევნებ, თუმცა ამის დრო ჯერ არ დამდგარა. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ ქართველ კაცს ხელისუფლება საკუთარი ნიჭის დახარჯვის საშუალებას მისცემს.

ექსპერტი

ხელისუფლების ეკონომიკური ბლეფი და სისტემური კრიზისი

მე-4 გვერდიდან

რეალური მშპ 12-13 მილიარდ აშშ დოლარს არ აღემატება და იმაზე საუბარი, რომ 17-18 მილიარდი აშშ დოლარია, მხოლოდ ბლეფია! ასეთ ვითარებაში, ოპოზიციური პოლიტიკური ძალის აპელირება, ჩვენ რა კარგად ვაკეთებდით ყველაფერს, რადგან ბიუჯეტში მშპ-ს ზრდა 6%-ით გვქონდა დაგეგმილი, თქვენ ვერაფერი გააკეთეთ და მხოლოდ 2.5%-ზე გადიხართო, წმინდა წყლის პოლიტიკური დემაგოგიაა! დიახ, ეკონომიკაში პრობლემებია, რომელიც მთავრობამ ჯერ ვერ გაარღვია, მაგრამ ისინი წლების განმავლობაში დაგროვდა. საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა იმდენად დეგრადირებული და გადაგვარებულია, რომ მთავრობის ასეთი ინერტული მოქმედებით, გარღვევა შეუძლებელია. საგანგაშო არაფერია, თუ ხელისუფლების პოლიტიკა გააქტიურდება. მთავრობა არ უნდა ჩაერიოს კერძო სექტორის თავისუფალ საქმიანობაში, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო თვალსაზრისით, კონკურენტული კერძო სექტორი უნდა განავითაროს, უნდა დააწესოს თამაშის წესები და ადამიანებს მისცეს საშუალება, საკუთარი შრომით შექმნან კეთილდღეობა. ცხადია, სახელმწიფოს საკუთარი ფუნქცია აკისრია კრიზისის პირობებში და აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო.

— ეკონომიკური პრობლემები წლების განმავლობაში გროვდებოდა, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ კრიზისიდან გამოსასვლელად?

— პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზეც ვთქვი, რომ მთავარია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რომელიც დასაქმების ხელშეუხებელი და უალტერნატივო საშუალებაა.

— გასაგებია, მაგრამ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ისედაც „ქართული ოცნების“ პრიორიტეტია...

— პრიორიტეტია მხოლოდ საუბრის დონეზე! რაკი ქვეყანაში ფული უდიდესი პრობლემაა, საბანკო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია. მარტივ მაგალითს გეტყვით: ბანკი ალტერნატიულ ფინანსურ შემოსავლებს ითხოვს ანუ გამოდის, როდესაც ბანკისგან სესხს ვიღებ, რათა მცირე ბიზნესი დავიწყო, ალტერნატიული ფინანსური წყაროები უნდა მქონდეს. საიდან მოვიტანო საგირავნო რესურსი ან ალტერნატიული ფინანსური წყაროები? ადამიანს, რომელსაც გონიერი ბიზნესპროექტი აქვს მცირე ან საშუალო ბიზნესის დასაწყებად, საგარანტიო უზრუნველყოფაში დახმარება და მაღალი საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სჭირდება, რისთვისაც სპეციალური ფონდები და, თუ გნებავთ, სპეციალური სახელმწიფო პროგრამაა საჭირო. ის, რომ ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებს, უტვინობის შედეგია. ადამ სმიტის მიხედვით, ბაზრის უხილავი ხელი იმას ნიშნავს, როდესაც შენი, პირადი მიზნების რეალიზებისა და დაკმაყოფილებისკენ მიდიხარ, ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა კი ისეა აწყობილი, ამით აკმაყოფილებ საზოგადოებრივ ინტერესს. აი, ეს არის ბაზრის უხილავი ხელი და არა ის, რასაც ე.წ. ლიბერტარიანელები გვეუბნებიან. ასეთი საბაზრო ეკონომიკა გვჭირდება და არა დილეტანტების ან გაუნათლებელი ადამიანების მიერ დახატული, მსოფლიოში არარსებული საბაზრო ეკონომიკა. საბაზრო ეკონომიკამ ეფექტი რომ მოგცეს, ჯერ საბაზრო ეკონომიკა უნდა გქონდეს, ქვეყანაში კი, სადაც ეს არ მოქმედებს და ხელისუფლება საბაზრო მექანიზმის გაშვებას ხელს არ უწყობს, ლიბერალურ ეკონომიკაზე, ტერმინოლოგიის დონეზე საუბარი, წმინდა წყლის პროფანაციაა!

— ქვეყანაში არსებული სისტემური კრიზისი იმის ბრალია, რომ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს კომუნიკაცია უჭირს?

— ვფიქრობ, ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ და ამის პრობლემა არ არის. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამთავრობო სტრატეგია უნდა არსებობდეს, რომელიც ყველა მინისტრისთვის სავალდებულო იქნება. მაშინ თითოეული მათგანი ამ სტრატეგიის ჩარჩოში იმოქმედებს და შედეგიც გაცილებით ეფექტური იქნება. კრიზისის პირობებში, ერთიანი სტრატეგიის არსებობა სახელმწიფოს ყველა სტრუქტურას აიძულებს, შესაბამისი სამოქმედო პროგრამა დასახოს, რადგან ეს იმ კანონის მოთხოვნა იქნება, რომლის საშუალებითაც, განვითარების სტრატეგია ნორმატიულ დოკუმენტად იქცევა. საჭიროა სისტემური მიდგომა, სხვაგვარად, როგორი მთავრობაც უნდა მოვიდეს, თუ ასეთ ვითარებაში გააგრძელებს მოქმედებას, კრიზისი უფრო გაღრმავდება. ეს არაა დალაგებული ქვეყანა, სადაც შეიძლება, ყველამ თავის საქმე აკეთოს. ეს დაულაგებელი, საშინელ კრიზისში გახვეული ქვეყანაა, რომელსაც კრიზისული მენეჯმენტი სჭირდება. აუცილებელია კრიზისიდან გამოსვლის სახელმწიფო პროგრამა, კრიზისულ მენეჯმენტს კი ახორციელებენ არაწრფივი გონების ადამიანები, რომლებიც პრობლემას კომპლექსურად ხედავენ. ეკონომიკური მართვის თეორიის მიხედვით, კრიზისიდან გამოსვლის მეთოდი ასეთია, სხვაგვარი მეთოდი არ არსებობს.

— ამ შეფასებებიდან და კრიზისული ვითარებიდან გამომდინარე, მთავრობის ეკონომიკურ გუნდში ცვლილებებს ხომ არ ელით?

— მომავალი პრემიერ-მინისტრის მაგივრად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ აქცენტი პიროვნულ კი არა, პოლიტიკის ცვლილებაზე უნდა გავაკეთოთ. ველოდები, რომ მთავრობა გაცილებით სხვანაირი იქნება თავის მოქმედებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის წინაშე დავდგებით — ნამდვილად კარგი ადამიანები იმ სირთულეებისა და პრობლემების მიმართ, რაც დღეს ქვეყანაშია, არაადეკვატურები იქნებიან. კარგი ადამიანი ვარ, მაგრამ ზურაბ სოტკილავასთან ერთად ფილარმონიის დიდ სცენაზე რომ ვიმღერო, ჩემს კეთილგონიერებაში უნდა დაეჭვდეთ. ხაზს ვუსვამ, ვერანაირი ტრადიციული შეხედულებები, წრფივი აზროვნება და ნებელობითი, პიროვნული გადაწყვეტილებები ჩვენს ქვეყანას ამ საშინელი კრიზისიდან ვერ გამოიყვანს! ეკონომიკა ხელიდან გაგვიქრა და ვალდებულები ვართ, ამაზე მოურიდებლად ვისაუბროთ!

რუსული ულტიმატუმი ქართველ ფერმერებს — „გააიაფეთ ვაშლი!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

წელს რუსეთის ბაზარი, ყურძნის, ღვინისა და ციტრუსის გარდა, ქართული ვაშლის, მსხლის, კომშისა და თხილისთვისაც გაიხსნა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ნოემბრის დასაწყისში რუსეთის ბაზარზე 2 მანქანა ვაშლი უკვე შევიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთი საქართველოსგან ვაშლის ფასის დაწევას ითხოვს, საქართველოში კი ვარაუდობენ, რომ საახალწლოდ, რუსეთში ვაშლი გაძვირდება. შესაბამისად, რუსეთის ბაზარზე დიდი რაოდენობით ვაშლს სწორედ დეკემბრის ბოლოს გაიტანენ.

„ვერსიასთან“ საუბრისას ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსმა, **ზურაბ ლიპარტიამ** აღნიშნა, რომ ნოემბრის დასაწყისში რუსეთის ბაზარზე 80 ტონა ვაშლი უკვე გაიტანეს:

„ამჟამად, რუსეთში ვაშლის ფასი დაბალია, მაგრამ საახალწლოდ, შესაძლოა, გაძვირდეს. ხელშეკრულებაში, რომელიც მხარეებს შორის უკვე გაფორმდა, ვაშლის ფასიცაა მითითებული, საექსპორტო პროდუქციას ინვოისიც ახლავს, მაგრამ პროდუქტის ფასი, რომელიც რუსეთში ექსპორტზე გადის, იქაურ ბაზარზე არსებულ რეალურ ღირებულებას არ უნდა სცდებოდეს. უკვე შევხვდით ვაშლის ექსპორტიორებსა და ადგილობრივ ფერმერებს, რომლებსაც ეს პროდუქტი მოჰყავთ. რუსეთის ბაზარზე 1 კგ ვაშლის საბითუმო ფასი 0.70 ლარია, ფერმერები კი 0.85 ლარადაც არ გვაბარებენ. აქედან გამომდინარე, ექსპორტიორები ვაშლს, ჯერჯერობით, შეინახავენ და რუსეთში საახალწლოდ გაიტანენ, როდესაც სავარაუდოდ, პროდუქტის ფასი გაიზრდება. ეს იყო მიზეზი, რის გამოც რუსეთის ბაზარზე ჯერ მხოლოდ 2 მანქანა ვაშლი გავიტანეთ“.

ზურაბ ლიპარტიას განმარტებით, რუსეთის ფიტოსანიტარიის სამსახურს უკვე აქვს იმ პროდუქტის ჩამონათვალი, რომლიც საქართველოდან რუსეთის ბაზარზე უნდა გავიდეს. ყურძნის, ღვინისა და ციტრუსის გარდა, ამ ჩამონათვალს წელს ვაშლი, მსხალი, კომში და თხილიც დაემატა, რაც აშკარად პოზიტიური ნაბიჯია. ზურაბ ლიპარტიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ პროდუქტი, რომელიც ექსპორტზე გადის, საღი და აუცილებლად ერთი ზომის უნდა იყოს:

„სავალდებულოა, საექსპორტო პროდუქცია სპეციალურ ტარაში — პლასტმასის ან მუყაოს ყუთებში შეიფუთოს. ადრე ხის ყუთებსაც იყენებდნენ, მაგრამ ახლა, ძირითადად, თერმული წესით დამუშავებული პლასტმასისა და მუყაოს ყუთები გამოიყენება. ორი მანქანა ვაშლი, რომელიც რუსეთში უკვე გავიტანეთ, სწორედ მუყაოს ყუთებში იყო შეფუთული. სხვათა შორის, საკმარისია, მუყაოს ყუთი თერმულად მხოლოდ ერთხელ დამუშავდეს. მაგალითად, თუ ყუთი მეორადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირიდან ან თურქეთიდან შემოვიდა პროდუქცია ანუ ერთხელ უკვე იყო დამუშავებული და გამოყენებული, მისი მეორედ დამუშავება საჭირო აღარაა. გარდა ამისა, პროდუქციას, რომელიც ექსპორტზე გადის, ჩვენს მიერ გაცემული ფიტოსანიტარული და პროდუქციის წარმოშობის სერტიფიკატებიც უნდა ახლდეს. ვაშლი, რომელიც რუსეთში ექსპორტზე გავიტანეთ, ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა — პროდუქტი სათანადოდ შევამოწმეთ, რათა ის მავნებლები არ გაყოლოდა, რაც რუსეთისთვის საკარანტინოდ მიიჩნევა“.

დასავლეთ საქართველოში ციტრუსის სეზონი უკვე დაიწყო. „ვერსია“ წერდა, რომ ციტრუსის გასაღების ტრადიციულ ბაზრებს — უკრაინას, ბელორუსს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბალტიის ქვეყნებს წელს რუსეთის ბაზარიც დაემატა. მეტიც, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აჭარელ ფერმერებს წელს, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადასცეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძველი შენობა-ნაგებობები ანუ ე.წ. პავილიონები, სადაც ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოები განთავსდა.

„ვერსია“ იმასაც წერდა, რომ „პავილიონებში“ ტარის (ციტრუსის შესაფუთი ყუთი) დამამზადებელი ხაზებიც გაიხსნა. ესაა თანამედროვე ტიპის ტარა-მასალა — 12-დან 15 კილოგრამამდე ტევადობის ყუთები, რომლებიც სერტიფიცირებულია და სპეციალური ბეჭდით მონიშდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც კი, ამ ტარა-მასალით გატანილი ციტრუსი კარანტინის დროს არ დაბრკოლდება.

„რაც შეეხება რუსეთის ბაზარზე ციტრუსის ექსპორტს, ვლადიკავკაზში 4-ჯერ უკვე გადავტვირთეთ. წელს, დაახლოებით, 120 000 ტონა ციტრუსს ველოდებით, მაგრამ რუსეთში ექსპორტზე 40 000-დან 50 000 ტონამდე გავიტანთ. დსთ-ს სივრცეში ციტრუსის ტრადიციული ბაზრებია აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ბელორუსი, უკრაინა, მაგრამ წელს რუსეთიც დაგვემატა, სადაც ციტრუსის ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. როგორც იცით, აჭარაში 30-მდე „პავილიონი“ უკვე გამზადებულია, რათა ციტრუსი შეუფერხებლად ჩაიბარონ და, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, სპეციალური ტარა-მასალით შეფუთონ. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უკვე შექმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამ პროცესს დააკვირდება“, — განუცხადა „ვერსიას“ ზურაბ ლიპარტიამ და დასძინა, რომ მიმდინარე სეზონი ციტრუსის კარგი მოსავლით გამოირჩევა — პროდუქტის ხარისხი მაღალია, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფო პროგრამამ — ფერმერებმა შხამ-ქიმიკატები, ასევე სასუქი მიიღეს და ციტრუსი დროულად შეწამლეს.

„ძვირფასო მიშა, მომენატრები, ცუდად არ გამიგო, მიხარია, შენი ერა რომ დასრულდა!“

The Moscow Times

„მოსკოვ თაიმსი“ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვას ეხმაურება. პუბლიკაციას სახელწოდებით — „სააკაშვილის ერა დასრულდა. მოენატრებათ კი ის?“ — პოლ რიმპლი აქვეყნებს.

„ძვირფასო მიშა, მომენატრები. ცუდად არ გამიგო, მიხარია, შენი ერა რომ დასრულდა. უბრალოდ, ძნელია საქართველოს წარმოდგენა შენს გარეშე. პირველად საქართველოში 2001 წელს ჩამოვედი და შავ-ბნელი წლების მიწურულს მოვესწარი, როდესაც ჩემს თვალწინ უთანხმოება ნელ-ნელა გადაიზარდა ერთიან შეთქმულებასა და ანტისამთავრობო მოძრაობაში. მახსოვს, როცა შემოხვედი ბარში — „ნალი“ და ხალხმა ჩურჩული დაიწყო: „სააკაშვილი. სააკაშვილი“. შენ იყავი გამბედავი, ცეცხლივით მგზნებარე და გაგაჩნდა ეგო, რომელიც მწვერვალზე აგიყვანდა.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში დამკვირვებლის რანგში ვიყავი, სწორედ იმ დღეს, რომელმაც შენი და ჩემი ცხოვრება შეცვალა. კორუფცია ქართული ხასიათის ერთ-ერთი „ეგზოტიკური“ ნაწილი მეგონა, სანამ გავხდებოდი ხალხის მიერ მიცემული ხმების ტოტალური გაყალბების მოწმე. აღშფოთებული ვიყავი. იმ დღეს მეც ქართველი გავხდი. გახსოვს ის უზარმაზარი დროშა, კანცელარიასთან რომ აფრიალდა მაშინ, როცა იერიშით აიღე პარლამენტი? ეს მე ვიყავი, ძმაო... მხარს გიჭერდი... გახსოვს, როგორ გაიფიქრე: „ვახ! ნუთუ, ეს მართლა ხდება?“ მთელი ერი იმ ეიფორიულ აღმაფრენას განიცდიდა, რომელმაც საბოლოოდ, პიკს მიაღწია — თითქოს, 12-წლიანი წყვდიადის შემდეგ, ყველას გონება ერთბაშად გაუნათდაო.

შემდგომი ორიოდე წლის განმავლობაში მზად ვიყავი, ხარვეზები მეპატიებინა შენთვის, მაგრამ ერთხელაც, 2006 წელს, მთავრობის „ამბალების“ ხროვა Land Cruiser-ით წინ ჩაუდგა ტაქსს, რომელმაც არ დაუთმო გზა თავისუფლების მოედნის მიმდებარე ქუჩაზე. ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ და სასტიკად გაუსწორდნენ ხანშიშესულ მძღოლს, ქუჩის მეორე მხარეს კი პოლიციელები უდარდელად ექაჩებოდნენ თამბაქოს. ბრახ! ის გულისამრევი შეგრძნება, თითქოს გიღალატესო, კვლავ დამიბრუნდა, როგორც წიხლი წელსქვემოთ.

მესმის, ისეთი ქვეყნის მართვა, როგორიც საქართველოა, 5.5 მილიონი კატის მწყემსვის ტოლფასია, მაგრამ მაინც მქონდა იმედი, რომ მეტ პატივისცემას გამოიჩენდი მათ მიმართ, ვინც მხარი დაგიჭირა 2003 წლის იმ ცივ და ჟინჟღლიან დღეებში და ვინც ხმა მოგცა შენ და შენს ხედვას. შენი დაცემა კი, მიშა, მდგომარეობს იმაში, რომ შენ და შენი შიდაწრე, რეალობას სრულიად მოკლებულნი, არსებობდით ცუდმედიდობის მომწამვლელ ვაკუუმში. გახსოვს, როგორ განრისხდი, როცა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაწერა, რომ საქართველო გაღატაკებული ქვეყანაა?

ის საქართველო, რომელშიც ჩამოვედი 2001 წელს, ისტორიის ნაწილია შენი და ყველა იმ ადამიანის წყალობით, ვინც ხმა მოგცა არჩევნებში. შენი წასვლა საუკეთესო რამ არის, რაც კი გაკეთებულა ამ ქვეყნისთვის მას შემდეგ, რაც შენ გახდი მისი ლიდერი, თუმცა მეორე მხრივ, უცნაური შეგრძნება დამეუფლება, როცა ვეღარ გიხილავ“, — ნათქვამია პუბლიკაციაში.

„პირველი“

ვერსიანიუსი

საქართველოსთვის ლევილის მამულის გადმოცემის საკითხმა წინ წაიწია

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, კონსტანტინე სურგულაძის განცხადებით, საქართველოსთვის ლევილის მამულების გადმოცემის საკითხი წინ მიიწევს.

„ლევილთან დაკავშირებით, წინ იმ თვალსაზრისით წავიწიეთ, რომ მამულის შესასწავლად კომპანია გამოიყო. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ საქართველოსთვის ლევილის მამულის იურიდიულად გადმოცემა გახდეს შესაძლებელი. ეს რუტინული შემოწმებაა, რათა გაირკვეს, რა მდგომარეობაშია ლევილის მამულის შენობები, რა არის სარესტავრაციო და ა.შ. ეს ერთ-ერთი პირობაა ლევილის მამულის გადმოსაცემად. მთავრობის სხდომაზე მალე დაისმება მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კომპანია დაიქირაონ და მისთვის გარკვეული ანაზღაურება გაითვალისწინონ“, — განაცხადა კონსტანტინე სურგულაძემ.

„მედიანიუსი“

ფილიპინებზე სტიქიამ 10 ათასი ადამიანი იმსხვერპლა

ფილიპინების კუნძულ ლეიტეზე დამანგრეველ ტაიფუნს 10 თასამდე ადამიანი ემსხვერპლა. ტაიფუნ „ხაიიანის“ მთავარი დარტყმა სწორედ ლეიტეზე მოვიდა.

„გაიმართა შეხვედრა პროვინციის გუბერნატორსა და სხვა ჩინოვნიკებთან. გუბერნატორმა განაცხადა, რომ წინასწარი მონაცემებით დაღუპულია 10 ათასი ადამიანი“, — განმარტა ადგილობრივი პოლიციის უფროსმა ელმერ სორიამ. დაღუპულთა უმეტესობა ან დაიხრჩო, ან დანგრეული შენობების ქვეშ მოყვა. პროვინცია ლეიტეში დანგრეულია შენობა-ნაგებობების 80%. სპეციალისტების განცხადებით, ტროპიკული ტაიფუნი „ხაიიანი“ ყველაზე ძლიერი შტორმია, რომელიც დაკვირვებების პერიოდში დაფიქსირებულა. ხელისუფლებამ მოახერხა რამდენიმე ათასი ადამიანის ევაკუაცია, თუმცა სტიქიამ მიწასთან გაასწორა უამრავი დასახლება, დატბორა ფილიპინების სანაპირო ზოლი და როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანად დაზიანდა ქვეყნის ცენტრალური რაიონებიც. ქარის სიჩქარე, სინოპტიკოსების შეფასებით, 300 კმ/სთ-ს შეადგენდა.

„ჯი-ეჩ-ენი“

სააკაშვილისა და პუტინის შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

ნაციონალების ანტისემიტური პროვოკაციის საიდუმლო გეგმა — ადვოკატები კეზერაშვილის დაცვას მის ებრაელობაზე ააგებენ?!

დავით დევიძე
593-219-042

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართების მონტაჟი რუსებმა დროებით შეაჩერეს, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კრემლი საქართველოს მიმართ პოლიტიკის დათბობას აპირებს. მოსკოვის „გაპასიურება“ სოჭის ოლიმპიადას უკავშირდება, რომლის დასრულების შემდეგაც, ოკუპანტის მხრიდან ახალ პროვოკაციებს უნდა ველოდეთ“, — ამბობს წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა წიკლაური და „ვერსიასთან“ იმაზეც საუბრობს, სინამდვილეში, რა მიზნით იმყოფებოდნენ მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა პარიზში.

— დიცსა თუ დვანში მავთულხლართების გავლებას ევროპაში უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა და რუსეთი ცდილობს, ოლიმპიადის წინ ზედმეტი ყურადღება აღარ მიიპყროს. სამაგიეროდ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიადის შემდეგ რუსეთი საქართველოზე ზეწოლას გააათმაგებს, ამიტომ მომავალი თვეები ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი იქნება.

— მაინც, რა არის მოსალოდნელი?

— რუსეთი თავს კომფორტულად მანამ გრძნობდა, სანამ საქართველოში ხელისუფლების სადავეები ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა. სააკაშვილის ფაქტორი მოსკოვს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში მუდმივი ჩიხი ყოფილიყო. აკი, პუტინიც ამბობდა, სანამ თბილისში სააკაშვილი და ნაცმოძრაობაა, რუსეთ-საქართველოს დიალოგზე საუბარი შეუძლებელიაო. როგორც ჩანს, კრემლშიც ელოდნენ, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში 30 წლით დარჩებოდნენ ანუ მოვლენათა ასეთი გაგრძელება პუტინსაც აწყობდა და სააკაშვილსაც, მაგრამ ბოლო ორი წლის მოვლენებმა და პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ გეგმები ორივეს აურია — საქართველომ ნაციონალური მოძრაობა მოიცილა და, შესაბამისად, პუტინს სათქმელი აღარ აქვს, რომ მისი მტერი სააკაშვილია და არა — საქართველო. აქედან გამომდინარე, მის თვალთმაქცობას აზრი ეკარგება და ღია ბანქოთი იწყებს თამაშს — აქტიურ შეტევაზე გადმოდის. ეს მოსაზრება იმითაც მტკიცდება, რომ 2008 წლის შემდეგ რუსეთს ბევრჯერ ჰქონდა შესაძლებლობა, ქართულ სოფლებში მავთულხლართები გაევლო, მაგრამ ნაციონალური ხელისუფლების დროს ამის საჭიროება არ არსებობდა... თუ რამე ღრმა პროვოკაციაში არ შევტოპეთ, 2008 წლის აგვისტოს განმეორება მოსალოდნელი არ არის — საქართველოს წინააღმდეგ მორიგი სამხედრო კამპანია რუსეთისთვის ხელსაყრელი არ იქნება, ამიტომ ქვეყნის შიგნით საკუთარი პოლიტიკის მხარდამჭერთა პოვნას შეეცდება, რაც ნამდვილად არ გაუჭირდება. სწორედ ამ ძალების ამოქმედება იგეგმება სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ და ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა რუსეთის ახალი პროვოკაცია თავიდან ავიცილოთ.

— რა სახის პროვოკაცია იგეგმება?

— ჩემი ინფორმაციით, რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დისკრედიტაციას გეგმავს და ეს, პირველ რიგში, საქართველო-ისრაელის მეგობრობას ეხება — რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ საქართველო-ისრაელს შორის, რამდენიმე თვეში, უვიზო რეჟიმი ამოქმედდება და ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რაც მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, თანმიმდევრულად და ავტომატურად, უვიზო მიმოსვლის დამკვიდრებას ევროპის ქვეყნებთანაც გამოიწვევს ანუ არსებობს შანსი, რომ ორ-სამ წელიწადში საქართველოს გარესამყაროსთან ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალოს. დაუკვირდით, როგორ ხვდება ნაციონალური მოძრაობა ამ ფაქტს: სააკაშვილის ხროვის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები ადგილს არ უთმობენ ამ თემის საფუძვლიან გაშუქებას და მხოლოდ მცირეოდენი ინფორმაციით შემოიფარგლებიან; მეორე მხრივ, როგორც აღმოჩნდა, ბატონ ბიძინას, რომელსაც სავიზო რეჟიმის გაუქმებაში ლომის წილი აქვს, საკუთარი საქმიანობის პიარი საერთოდ არ უყვარს, რის გამოც არც ახალი ხელისუფლება გაჰკივის, ნახეთ, რა ვქენიო. ამ ორი ფაქტორის გამო ხალხმა, პრაქტიკულად, არ იცის, რა მასშტაბის მიღწევასთან გვაქვს საქმე. სამაგიეროდ, ამ მიღწევაზე სწორ ანალიზს აკეთებენ რუსეთში, სადაც იციან, რომ თუკი საქართველო ევროპასთან უვიზო რეჟიმს შემოიღებს, ამით საქართველოს ევრაზიულ კავშირში შეთრევის გეგმა ჩავარდება... ამიტომ მიმაჩნია, რომ ოლიმპიადის შემდეგ, რუსეთი ძალიან გააქტიურდება და, ჩემი ინფორმაციით, ისრაელის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმების ჩაშლას შეეცდება, რისთვისაც საქართველოში არსებულ თავის მეხუთე კოლონასაც გამოიყენებს — გამორიცხული არაა, ვითომოპოზიციურმა პარტიებმა ანტისემიტური ლოზუნგების წამოსროლა დაიწყონ. სააკაშვილი, რომელიც უკვე მაოხრებელი გზირის როლს ასრულებს, ყველაფერზე წავა, ოღონდ ქვეყანაში დესტაბილიზაციას მიაღწიოს და ხალხს ათქმევინოს, რომ ახალმა ხელისუფლებამ კრახი განიცადა.

სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ, რა მიზნით ჩავიდნენ პარიზში სააკაშვილი და უგულავა. სინამდვილეში, მათ პარიზში დაკავებულ დავით კეზერაშვილის დაცვის მხარეს მიაწოდეს გეგმა, რომლის მიხედვითაც, კეზერაშვილის დაცვა მის ებრაელობასა და საქართველოში ვითომ გამეფებულ ანტისემიტიზმზე უნდა აეგოს. ცხადია, ნიჭიერი ადვოკატების ხელში, საქმის ასე დაყენება მსოფლიოში აუცილებლად დიდ რეზონანსს გამოიწვევს, რასაც საქართველო-ისრაელს შორის ხელშეკრულების გაუქმება თუ არა, გაურკვეველი დროით გადავადება მაინც მოჰყვება... ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რომ ეს მზაკვრული გეგმა ვერ განხორციელდეს!

„სტელას“ კაპიტნის, ლევან თებიძის სამძებრო სამუშაოები შეწყდა

ჩაძირული გემის, „სტელას“ დაკარგული კაპიტნის სამძებრო-სამაშველო სამუშაოები 5 ნოემბერს შეწყდა და გემის კაპიტანი ლევან თებიძე დაკარგულად მიიჩნევა. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განცხადებაშია აღნიშნული.

„სამძებრო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ საკონსულო სამსახური ყოველდღიურ კავშირზე იმყოფებოდა შესაბამის სტრუქტურებთან. ძიება მიმდინარეობდა პოლიციის კომპეტენციის ფარგლებში. ინფორმაცია ეკიპაჟის დაკარგული წევრის შესახებ, ასევე მიეწოდა იახტკლუბებს, გემებსა და საზღვაო ხომალდებს, რომლებიც შედიოდნენ და გადიოდნენ საზღვაო კატასტროფის მიმდებარე წყლებში. პირეოსის გაერთიანებული სამაშველო საკოორდინაციო ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჩაძირული გემის „სტელას“ ეკიპაჟის დაკარგული წევრის სამძებრო-სამაშველო სამუშაოები შეწყდა 5 ნოემბერს, 06:55 საათზე. გემის კაპიტანი, ლევან თებიძე დაკარგულად მიიჩნევა“, — ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიმდინარე წლის 2 ნოემბერს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურმა მიიღო შეტყობინება სიერა ლეონეს დროშის ქვეშ მცურავი გემის „სტელას“ ეკიპაჟის წევრისგან. მისი ინფორმაციით, ხსენებული გემი, დილის საათებში, რიფთან შეჯახების შედეგად ჩაიძირა კუნძულ კარპათოსის სანაპიროსთან, გემის ეკიპაჟის 5 წევრი უვნებელი გადარჩა, ხოლო გემის კაპიტანი ლევან თებიძე დაკარგულად ითვლება.

„საკონსულო სამსახური დაუკავშირდა კუნძულ კარპათოსისა და კუნძულ როდოსის სანაპირო დაცვის სამსახურებს. მათ დაადასტურეს ხომალდის ჩაძირვის ფაქტი და აღნიშნეს, რომ ეკიპაჟის გადარჩენილი წევრები იმყოფებოდნენ კუნძულ როდოსზე, მათ ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება და ჩამოერთვათ ჩვენება. როდოსის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორის ბრძანებით, მეზღვაურები არ დაუკავებიათ. ასევე, სანაპირო დაცვის სამსახურის ინფორმაციით მიმდინარეობდა ეკიპაჟის ერთი წევრის, გემის კაპიტნის სამძებრო სამუშაოები.

ეკიპაჟის წევრების თხოვნის საფუძველზე, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახური დაუკავშირდა ხსენებული პირების ოჯახის წევრებს და მიაწოდა ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე შედგა კონტაქტი გემ „სტელას“ მფლობელი კომპანიის BALMORAL SERVISES CO წარმომადგენელთან ქ. ათენში გეორგიოს კესანიდისთან, რომლის წარმომადგენელმაც მოინახულა ეკიპაჟის წევრები.

საკონსულოს აქტიური ძალისხმევის შედეგად, გემთმფლობელმა კომპანიამ სრულად აანაზღაურა ტრანსპორტირების ხარჯი. გემ „სტელას“ საქართველოს მოქალაქე ეკიპაჟის წევრები გამოემგზავრენ სამშობლოში მიმდინარე წლის 7 ნოემბერს, ეგეოსის ავიახაზებით“, — აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

85 დევნილ ოჯახზე ბინები ფარული კენჭისყრით გადანაწილდა

დევნილი ოჯახებისთვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ბინები ფარული კენჭისყრის პრინციპით გაანაწილა. ეს ის 85 ოჯახია, რომელიც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, თბილისში, ყვარლის ქუჩაზე ბინებს მიიღებს.

კენჭისყრის მიხედვით გამოვლინდა, თუ ვინ რომელ სართულზე მიიღებს საცხოვრებელ ფართს. შენობაში სულ 85 ბინაა, აქედან — 31 ერთოთახიანი, 44 — ოროთახიანი და 10 — სამოთახიანი.

„პირველი“

ვერსიანიუსი

ლაშა ნაცვლიშვილი თანამდებობიდან გადადგომას უარყოფს

მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი მის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნაცვლიშვილმა აცნობა, საინფორმაციო სააგენტო, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა, შესაბამისმა წყარომ პროკურატურის სისტემის დეზორგანიზების მიზნით შეცდომაში შეიყვანა.

„ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა მცდარი ინფორმაცია თანამდებობიდან ჩემი გადადგომის შესახებ. ვფიქრობ წყარო, რომელმაც აღნიშნული სააგენტო შეცდომაში შეიყვანა, დაინტერესებული იყო პროკურატურის სისტემის დეზორგანიზებით, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მთავარმა პროკურორმა მართლაც მიიღო გადაწყვეტილება, 17 ნოემბრის შემდეგ დაკავებული თანამდებობიდან გადადგეს“, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ამასთან, ლაშა ნაცვლიშვილი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ საქართველოს პროკურატურა ჩვეულ რიტმში საქმიანობას განაგრძობს და უკლებლივ, ყველა პროკურორი, მისი ჩათვლით, კანონით დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ჯეპრამ“, საუკეთესო პიარკამპანიისთვის, კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

პრესტიჟულმა კომპანია „მარკეტინგ ბრილიანსმა“ საქველმოქმედო ფონდ „ნატახტარის“ პრომოუშენკამპანია მოიწონა

ბაია მიშელაძე
593-51-90-12

საუკეთესო პიარკამპანიისთვის, კომპანია „ჯეპრა“ პრესტიჟული პრიზით დაჯილდოვდა. 25 ოქტომბერს, პირველად საქართველოში, ყველაზე მასშტაბური ბიზნესდაჯილდოება — Marketing Brilliance Awards გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ბრიტანული კომპანია BOC-Global Events Group იყო, რომელიც პრესტიჟული კონფერენციებისა და კორპორატიული ტრენინგების ორგანიზატორთა შორის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიად მიიჩნევა. ჟიურის წევრები „მაიკროსოფტის“, „გუგლის“, „ნოკიას“, „ფილიპსისა“ და BBC-ის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც საუკეთესო პიარკამპანიისთვის „ჯეპრას“ პრიზი გადასცეს.

„მარკეტინგ ბრილიანსის“ დაჯილდოებამდე, „ჯეპრამ“ ISO სერტიფიკატი კიდევ ერთხელ აიღო. კომპანიის პრომოუშენ-მენეჯერის, ხატია ალფაიძის განცხადებით, Marketing Brilliance Awards-ში მონაწილეობა „ჯეპრასთვის“ გამოწვევა იყო, რომლის შედეგადაც, საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. რაც შეეხება ISO სერტიფიკატს, „ჯეპრაში“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და დანერგვა 2007 წლიდან დაიწყეს. შესაბამისად, კომპანია პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროში სწორედ ISO 9001:2008 სტანდარტებით საქმიანობს — „ჯეპრა“ კლიენტებს ისეთ მომსახურებას სთავაზობს, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

„ISO-ს სტანდარტები მაღალ ხარისხსა და ნდობასთან ასოცირდება, რადგან მის ფარგლებში წარმართული საქმიანობა მთლიანად მომხმარებელზეა ორიენტირებული. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, კომპანიებმა ISO-ს სტანდარტების დანერგვაზე იზრუნონ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომპანიებს შორის კონკურენცია გაიზარდა, შესაბამისად, მოთხოვნა ხარისხზეც გაჩნდა. რაც მეტად აკმაყოფილებ ამ მოთხოვნას, მით მეტი შანსი გაქვს, მომხმარებელი დააინტერესო, მისი ნდობა დაიმსახურო და, ეფექტური კამპანიების წარმოების საფუძველზე, ლოიალობა მოიპოვო“, — აცხადებს ხატია ალფაიძე.

კომპანია „ჯეპრას“ დამფუძნებელმა, **სოსო გალუმაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ „მარკეტინგ ბრილიანსის“ ჟიურის მოწონება საქველმოქმედო ფონდ „ნატახტარის“ პრომოუშენ კამპანიამ დაიმსახურა:

„ფონდ „ნატახტარის“ საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად შეიქმნა, თუ „ნატახტარის“ ნახევარლიტრიან ლიმონათს შეიძენდით, ფონდში 1 თეთრი გადაირიცხებოდა, ერთლიტრიანის შეძენისას — 3, ორლიტრიანის შეძენისას კი — 5 თეთრი. „მარკეტინგ ბრილიანსის“ ჟიურის მოეწონა, ეს კამპანია კონკრეტულ ბენეფიციარებსა და სამიზნე ჯგუფებზე რომ იყო გათვლილი. ყველა ეს სამიზნე ჯგუფი პროცესის თანამონაწილედ ვაქციეთ ანუ მათ მხოლოდ ინფორმაციას კი არ ვაწვდიდით, არამედ პრომოუშენ-კამპანია ერთობლივად დავგეგმეთ. აქედან გამომდინარე, კამპანიის ეფექტურობა გაიზარდა და ჟიურის წევრებმაც სწორედ ეს დააფასეს, რის გამოც საკმაოდ მაღალი შეფასება მოგვცეს. რაც შეეხება ISO სერტიფიკატს, რომელიც კიდევ ერთხელ მივიღეთ, დავადასტურეთ, რომ ხარისხის მართვის საკითხებში ყველა პროცედურულ წესებს ვიცავთ და, მართლაც, იმ პრინციპების ერთგულები ვართ, რაც 2007 წლიდან დავნერგეთ“.

სოსო გალუმაშვილის თქმითვე, კომპანია „ჯეპრა“, „მარკეტინგ ბრილიანსის“ გარდა, გაისად სამ-ოთხ საერთაშორისო კონკურსში აპირებს მონაწილეობას. „ჯეპრას“ დამფუძნებელს იმედი აქვს, რომ კომპანია ამ კონკურსებშიც გაიმარჯვებს.

Marketing Brilliance Awards-ის ჟიურიმ კი კომპანია „ჯეპრას“ პრომოუშენკამპანია ასე შეაფასა: **„კამპანიის დროს ცალსახად და მკაფიოდ იყო განსაზღვრული მიზნები და მიზნობრივი სეგმენტები, რამაც „ჯეპრას“ საშუალება მისცა, ცალკეულ აუდიტორიაზე განსხვავებული მესიჯებით წარმართული აქტივობების მიხედვით, ხელშესახები შედეგები მიეღო. უშუალოდ, პრომოუშენკამპანიის დაგეგმვაში სამიზნე ჯგუფების ჩართულობა, ამ კამპანიის მიმდინარეობაზე, შემდგომ კი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, პროექტის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს. სხვა დაგეგმილ ღონისძიებებთან პირისპირ შეხვედრების ინტეგრაცია, ამ პროცესში სამთავრობო, საზოგადოებრივი და ბიზნესორგანიზაციების ჩართვა, პროექტის საბოლოო წარმატებაზე აისახა“.**

თბილისში, „იდენტობის“ ინიციატივით, უსახლკაროებისთვის ახალი თავშესაფარი იხსნება!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

სახალხო დამცველი მიესალმება ორგანიზაცია „იდენტობის“ ინიციატივას, რომელიც უსახლკაროებისთვის თავშესაფრის გახსნას ითვალისწინებს. ომბუდსმენის აპარატში ამბობენ, რომ საცხოვრისით უსახლკაროთა უზრუნველყოფა, მოქმედი კანონმდებლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებაა, რომელიც უმეტესად, იმიტომ არ სრულდება, რომ სახელმწიფოს სათანადო სტრატეგია და გეგმა არ გააჩნია.

„სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციითა თუ საჯარო განცხადებით მიმართა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თბილისსა და რეგიონებში, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა არსებული რესურსების პირობებში, მიიღონ ყველა ზომა უსახლკარო პირთა უფლებების ეფექტურად დაცვისთვის“, — აცხადებენ ობუდმესნის აპარატში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ წევრებს კი მიაჩნიათ, რომ თავშესაფარი იმ ადამიანებს, რომლებიც მცირეწლოვანი ბავშვებით ქუჩაში ცხოვრობენ, ყინვისგან იხსნის, ამასთან, „იდენტობის“ წევრის, **გურამ მაცხონაშვილის** თქმით, „თავშესაფარი“ იმ დიდი პროექტის მხოლოდ დასაწყისია, რომელსაც მთელი საზოგადოება უნდა შეუერთდეს:

„თბილისში ყველაზე გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახებისა და პირებისთვის თავშესაფრის გახსნა იგეგმება, რომლისთვისაც ფართი — 80 კვ.მ. კერძო შემომწირველმა ბაგების დასახლებაში უსასყიდლოდ, რამდენიმე წლით გადმოგვცა, თუმცა შენობა კეთილმოუწყობელია, გარდა ამისა, თავშესაფრის ბინადრებისთვის აუცილებელია საწოლები და საბნები, ამიტომ „იდენტობა“ სამოქალაქო და სასულიერო ორგანიზაციებს, ასევე მოქალაქეებს სთხოვს, გამოიჩინონ ინიციატივა და თავშესაფრის ბინადრებს დაეხმარონ.

თავშესაფარში მოხვედრის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფისთვის, დახმარების თხოვნით მივმართავთ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას, რომლის ძალისხმევით შეიძლება გამოიხატოს

საკვებისა და ტანსაცმლის რეგულარულ შეგროვებაში; ფინანსების მოძიებაში სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზების გზით; სამედიცინო, სოციალური, იურიდიული და სხვა მომსახურების უსასყიდლოდ განევაში; თავშესაფრისთვის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავებაში...

ყველას, ვინც დაინტერესებული ხართ, ამ საქმეს ხელი შეუწყოთ, შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონულ ფოსტაზე — irakli@identoba.org (წერილის სათაურში მიუთითეთ სიტყვა „თავშესაფარი“ ან „tavshesafari“), ტელეფონი: 571 331 007; შემოგვიერთდით Facebook-ზეც — https://www.facebook.com/groups/tavshesafari“.

„იდენტობის“ წევრი **ქეთი ხუციშვილი** ამბობს, რომ უსახლკარობის პრობლემა აქტუალური და მნიშვნელოვანია, რამდენადაც ადამიანის სიცოცხლეთან გვაქვს საქმე... „ფემინისტების დამოუკიდებელმა ჯგუფმა“ კი, თბილისის საკრებულოს წინ აქცია — „შეიფარე დღეს!“ — გამართა და დედაქალაქის ბიუჯეტიდან უსახლკაროების პრობლემების მოსაგვარებლად თანხის გამოყოფა, თავშესაფრების მოწყობა და უსახლკაროების აღრიცხვა მოითხოვა.

„დამოუკიდებელი ფემინისტების ჯგუფის“ წევრის, ბაია პატარაიას თქმით, ამ პრობლემის მოგვარებას ბევრი მუშაობა სჭირდება...

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, თითოეული ადამიანის სიცოცხლის გზა სამყაროს დაბადებისა და სიკვდილის ტოლფასია. საზოგადოებამ არ იცის, იმ 400-მდე ადამიანმა, ვინც შარშან თავი 9 აპრილის ბაღში გაშლილ კარავს შეაფარა, რა გზა განვლო თუნდაც ბოლო 25 წლის განმავლობაში. ნუ დავტოვებთ ადამიანებს ღია ცისქვეშ, სადაც სიცივესა და ყინვაში მშველელად არავინ მოევლინებათ! სამოქალაქო სექტორმა სწორი გზა აირჩია — საწყის ეტაპზე, მინიმუმ, ნორმალური თავშესაფრები უნდა მოეწყოს და ამ პროცესში, ხელისუფლებასთან ერთად, საზოგადოებაც აქტიურად უნდა ჩაერთოს. ქუჩაში დარჩენილი ერთი ადამიანის შეფარებით სამყაროს დაღუპვისგან ვიხსნით!

1. ბანქოს თამაშის ნაირსახეობა
2. მედლის უკანა მხარე
3. ყავის მოსადღეგელი ჭურჭელი
4. ხის ქოჩორი, ვარჯი
5. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
6. ინდური კობრა
7. საბანკო შეტყობინება
8. წყლის პიტნა
9. ისლანდიის დედაქალაქი
10. მუსიკალური გამის V ნოტი
11. იტალიელი კინოვარსკვლავი ჯინა ...
12.ადამიანის სხეულში მოძრავი უფერული სითხე
13. გვადი ბიგვას ნამოლარა ვაჟის სახელი
14. ძვ. კინოფილ. ჩვენება
15. თავის. ფორმის ნარკვევი
16. ვენეციის მმართველის ტიტული
17. სოფელი წალენჯიხის რაიონში
18. ღორის ცხვირი
19. მდინარე ქუთაისში
20. ტბა აფრიკაში
21. ავტონომ. ტერიტორია ჩინეთში
22. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა
23. ახალი ზელანდიის აბორიგენი
24. ისრაელის სახელმწიფო ენა
25. კოვბოების შეჯიბრება
26. დეზდემონას ცილისმწამებელი
27. სამგზავრო ჭურჭელი წყლისათვის
28. აშშ-ს პრეზიდენტის რეზიდენცია
29. საორკესტ. ნაწარმოების პარტიათა ერთობლიობა
30.მრეცხავი „ვერის უბნის მელოდიებში“
31. შოუს მომწყობი პროფესიონალი აგენტი
32. უარყოფითად დამუხტული ატომი
33. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
34. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
35. ლონდონის საქმიანი ცენტრი
36. სპორტული ნაწარმის ფირმა
37. სომხური გვარების წინსართი
38.ფრანგი კინო ვარსკვლავი იზაბელ ...
39. ჩეხური წარმოშ. გერმანულენოვანი მწერალი
40. ფილიპინების დედაქალაქი
41. ცალკეული სცენა კინოფილმიდან
42. ქართველების დასახლება ირანში
43. მდინარე ავსტრიაში
44. მთის თუთიყუში
45. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
46.ტოკიოს ძველი სახელწოდება
47. „მატრიცას“ პერსონაჟი
48. მ. ჯავახიშვილის „მეჩექმე ...“
49. ინდიელთა ტომი
50. ჩოგბურთელი ... სამპრასი
51. მიწის დასამუშავებელი იარაღი
52. ხარებას ძმაკაცი
53. კახი კალაძის ყოფილი გუნდი
54. დიდი სპარსელი პოეტი
55. მეფის მასხარა „ჰამლეტში“
56. როკენროლის მეფე
57. ოვანეს თუმანიანის მოთხრობა
58.ყურით აღქმული ბგერა
59.ქართული ანბანის მე-17 ასო
60.დეკორატიული ყვავილი
61ხალიჩის სახელი ძვ. ქართულში
62.სანთლის მსგავსი ნივთიერება
63. ავღანეთის დედაქალაქი
64.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
65. წილი საერთო საქმეში
66. ქალაქი იაპონიაში
67. კედლის სანათი
68. ერთი ეკლესიის მორწმუნეთა ჯგუფი
69. ქალაქი გერმანიაში
70. სპარსეთის თანამედროვე სახელწოდება
71. მსახიობი ... ჟირარდო
72.სოფელი ქედის რაიონში
73. ჩვილი ბავშვის საკვები
74. მზის სისტემის პლანეტა
75. ტიბეტური ხარი
76. „ბუბლიკი“ ქართულად
77.აღმოს. კრებული „... ერთი ღამე“
78. დიდი მასხრობელა გველი
79. დიონისეს აღმზრდელი
80. ბურთულის ფორმის წამალი, იგივეა, რაც ტაბლეტი
81. ფიგურული სახაზავი

ბანანი მავნე ჩვევების წინააღმდეგ

სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ბანანის სასარგებლო თვისებები გამოავლინეს და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ პროდუქტი შეგვიძლია ნებისმიერ დიეტაში ჩავრთოთ. უმთავრესი კი ისაა, რომ ხილი ადამიანს ისეთი მავნე ჩვევების დაძლევაში დაეხმარება, როგორიც მაგალითად, მოწევაა. საქმე ის გახლავთ, რომ ბანანში ბევრი ტრიფტოფანია და ორგანიზმის მიერ მისი ათვისების შედეგად წარმოიქმნება კინურენის მჟავა, რომელიც სხვადასხვა დამოკიდებულებების წინააღმდეგ გამოიყენება. ასე რომ, სწავლულები იმედოვნებენ, რომ მომავალში სიგარეტზე ან მარიხუანაზე დამოკიდებულებას პრეპარატებით კი არა, სპეციალური დიეტით შეებრძოლებიან, რომელიც ტრიპტოფანით იქნება გამდიდრებული, თუმცა აქვე საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ ახლავე ნუ შეუდგებიან ბანანით მავნე ჩვევებთან ბრძოლას, რადგან კვლევები ჯერ არ დასრულებულა და პირველადი შედეგები დაზუსტებას მოითხოვს.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘ — ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ. ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲝᲗ.

ᲒᲣᲠᲘ — ᲓᲦᲔ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲣᲙᲐᲒᲛᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ. ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲣᲗᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲤᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲣᲚᲘᲐ ᲨᲝᲛᲦᲕᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲡ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲕᲐᲜᲡ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ ᲡᲐᲣᲙᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲜ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲯᲐᲜᲓᲐᲚᲐᲛᲓᲔᲪ ᲛᲘᲕᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲝᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲗ, ᲯᲔᲠ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲘᲗ. ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ, ᲜᲔᲠᲕᲣᲚ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲒᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲥᲕᲗ — ᲡᲯᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ. ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑ-ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚ ᲡᲘᲮᲡᲠᲣᲚᲡ ᲣᲥᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲘᲣᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲩᲮᲘᲑᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲘᲪᲐᲜᲗ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲘᲣᲐᲕᲘᲗ, ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲝᲗ. ᲕᲘᲓᲐᲪ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲠᲕᲘᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲗᲐᲕᲘ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲗ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲗᲐᲕ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲓᲦᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲗᲝᲛᲙᲔᲗ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲣᲬᲕᲘᲝᲗ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲔᲜᲝᲗ ᲛᲝᲛᲨᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲫᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗᲝ ᲘᲣᲐᲕᲘᲗ, ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲝᲗ. ᲕᲘᲓᲐᲪ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲠᲕᲘᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲗᲐᲕᲘ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲗ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲗᲐᲕ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲓᲦᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲗᲝᲛᲙᲔᲗ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲣᲬᲕᲘᲝᲗ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲔᲜᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲫᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲯᲐᲠᲒᲘ. ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲣᲡᲐᲐᲛᲝᲒᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲐᲠᲘᲓᲝᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲜᲐᲯᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲓᲦᲐ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲛᲬᲝᲕᲔᲑᲗᲐᲜ, ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲗᲛᲔᲗ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ. ᲜᲣ ᲘᲮᲣᲑᲔᲑᲗ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡᲯᲐᲚᲘ — ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲪᲐᲪᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲝᲗ. ᲒᲘᲓᲐᲪ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲠᲕᲘᲣᲚᲔᲑᲐᲡ. ᲗᲐᲕᲘ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲗ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲗᲐᲕ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲯᲐᲜᲘ — ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲗᲣᲚᲛᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲛᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲡᲣᲤᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲘᲚᲝᲛᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲗ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ᲛᲝᲐᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲓᲐᲨᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲣ ᲒᲐᲙᲐᲠᲗᲔᲚᲔᲑᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ.

ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ — ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲒᲘᲩᲜᲓᲔᲗ ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲜᲣ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲪᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔᲐ. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲡᲯᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲗᲐᲜ. ᲣᲝᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ — ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲢᲧᲣᲔᲑᲘᲐᲜ

მკვლევარებმა ნისლიანი ალბიონიდან გაარკვიეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად იტყუებიან და თან არც დანაშაულის გრძნობა აწუხებთ. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კაცები დღეში სამჯერ, წელიწადში კი 1092-ჯერ ცრუობენ. ქალებისთვის სიცრუის მაჩვენებელი წელიწადში 728 ტყუილია. გამოკითხული მამაკაცების 30% ამის გამო სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის, სამაგიეროდ სუსტი სქესის წარმომადგენელთა 80% წუხს იმის გამო, რომ მოიტყუა, თუმცა უდავოა, რომ „ქალური ტყუილი“ უფრო დახვეწილია.

„ᲓᲐᲞᲧᲐᲠᲘᲗ... ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲐ“

იემენის დედაქალაქ სანაში ცოტა ხნის წინ მასობრივი საქორწინო ცერემონია გაიმართა, რომელშიც 4 ათასმა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. შარიათის მკაცრი კანონების დაცვით, ქორწილში მხოლოდ სასიძოები მონაწილეობენ, პატარძალს იქ მისვლის უფლება არ აქვს და ქორწილის დღეს, ქალებთან ერთად, სხვა ადგილას აღნიშნავს. სიძე-პატარძალი ერთმანეთს მხოლოდ ქორწინების ღამეს ხვდება. მასობრივი ღონისძიების ხარჯი საკუთარ თავზე სანას შეიხმა აიღო და როგორც მედია იუწყება, მასობრივი ქორწილი 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. აღსანიშნავია, რომ იემენში ცოლის შერთვა დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. როგორც წესი, სასიძო ვალდებულია, პატარძლის მამას 3 ათასი გირვანქა მიართვას და ქორწილის ხარჯებიც თავად დაფაროს.

ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ

ფქვილის ახალი სახეობა, რომელიც ინდონეზიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს, ხანდაზმულ ადამიანებს მეხსიერების გაუმჯობესებაში დაეხმარება. იგი დამზადებულია ტემპესგან — სოიოს მარცვლების ფერმენტირებული პროდუქტისგან და დიდი რაოდენობით ფიტოესტროგენსა და „ბე“-ჯგუფის ვიტამინს შეიცავს. მანამდე სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ვიტამინების ეს ნაერთი საგრძნობლად აუმჯობესებს მეხსიერებას. მკვლევარები ამბობენ, რომ სოიოს ეს ფქვილი შეიძლება საჭმელში გამოვიყენოთ ან უბრალოდ, გავხსნათ წყალში და ისე მივირთვათ.

ᲕᲔᲒᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ „ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ“ ᲓᲐᲣᲛᲖᲐᲓᲔᲡ

გერმანელმა მეცნიერებმა ფრაუნგოფერის ინსტიტუტიდან აღმოჩენა გააკეთეს, რაც ალბათ საჩუქარი იქნება ვეგეტარიანელებისთვის. სპეციალისტებმა „ბოსტნეულის ხორცის“ შექმნეს, რომელიც გემოთი არაფრით ჩამოუვარდება ნამდვილ პროდუქტს, მაგრამ არ შეიცავს ტრანს-ცხიმებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანს — ახალი პროდუქტის შემადგენლობაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეული ინგრედიენტები. მწარმოებლები აპირებენ, მასობრივად დაამზადონ ეს „ფსევდო-ხორცი“ და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, ის ადგილობრივ მაღაზიებში შეიძინოს. გერმანელი სწავლულები „ბოსტნეულის ხორცის“ რეცეპტს არ ახმაურებენ, მხოლოდ იმას ამხელენ, რომ ახალი პროდუქტის თერმული დამუშავებისას გემობრივი თვისებები არ იცვლება. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი „ნოუ-ჰაუ“ ევროპის მცხოვრებლებს მოეწონებათ, ვისაც აქვს სურვილი, ვეგეტარიანელო იყოს, მაგრამ ამავე დროს ნატურალური ხორცის მოხმარებაზე უარს ვერ ამბობს.



ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘ — ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲔᲗ. ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲓᲠᲝ ᲩᲣᲥᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲤᲚᲐᲜᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲨᲘᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲠᲝᲛᲜᲢᲘᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲘᲑᲘᲛᲓᲔᲑᲗ.

ᲙᲣᲠᲘ — ᲓᲦᲔ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲐᲣᲛᲐᲝᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲠᲐᲕᲔᲑᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲝ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘᲡᲮᲣᲠᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲨᲘᲪ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲚᲘ ᲘᲥ ᲒᲐᲛᲝᲘᲔᲜᲗᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲔᲡᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ ᲘᲤᲝᲜᲔᲑᲔ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲣ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲘᲪᲔᲑᲗ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲗᲐᲕᲨᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲛᲝᲒᲓᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲘᲛᲘᲜ ᲒᲐᲒᲘᲗᲘᲜᲣᲠᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲗᲐᲡᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲝᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲝᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ, ᲗᲣ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲬᲠᲐᲤᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲗ. ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲩᲐᲕᲓᲔᲗ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲒᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲗᲐᲛᲐᲨᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲔᲗ ᲓᲦᲔ ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲡᲣᲠᲗ. ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲗ, ᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲒᲒᲕᲐᲠᲝᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲗ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲡᲐᲙᲛᲔᲝᲓ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲔᲗ, ᲓᲘᲓᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲐᲡᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲗᲣ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲐᲠᲐᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ, ᲛᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲐ.

ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡᲯᲐᲚᲘ — ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲔᲗ, ᲗᲣ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲬᲠᲐᲤᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲗ. ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲦᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲠᲨᲘ ᲩᲐᲕᲓᲔᲗ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗ — ᲐᲮᲚᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ. ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲰᲔᲕᲗ. ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲖᲔ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲪ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲔᲗ, ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲛᲭᲝᲕᲔᲑᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ Წ

სუდოკუ

ადვილი

			1					2
5		3				1		
		9		4	3	8		
6						2		
	7		6		5		4	
		1						6
		2	9	1		5		
		5				6		8
1					4			

სტანდარტი

6		2	8					
	1							
9	8				4	3		
3				2		6		4
8			1	7	6			5
2		5		9				7
		8	7				6	3
							5	
					2	7		8

რთული

							3	
3	9	6		2				
			9	3	7			2
	8				3	6		5
		3		8		9		
9		5	1				2	
2			8	5	1			
				4		2	8	1
	3							

ექსპერტი

					9			1
2	8		6					
	9		8	4			6	2
9	1		5					6
8				9				3
3					6		2	8
7	4			6	2		1	
					8		7	4
5			4					

ყველაზე გრძელი ულვაში მსოფლიოში

58 წლის ინდოელი მამაკაცი, რამ სინგხ ჩაუხანი მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაშის მფლობელია, რომლის სიგრძე 4 მეტრი და 26 სანტიმეტრია. ინდოელი მამაკაცი ამბობს, რომ ამ „სიამაყეს“ 32 წელია იზრდის და ყოველდღიურად ორი საათი სჭირდება მის მოსაწესრიგებლად. ულვაშის წყალობით, ჩაუხანმა როლიც კი მიიღო „ბონდიანას“ ერთ-ერთ სერიაში. ულვაშის გაზრდა ბავშვზე ზრუნვასავითაა — უამრავი წელი დამჭირდა, ამხელა ულვაში რომ გამეზარდა და ეს ადვილი სულაც არ იყო, — აცხადებს ჩახუანი, რომელმაც ულვაშის გაზრდა ჯერ კიდევ ჭაბუკობიდან დაიწყო.

პიტნის კევი ასუქებს?

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საღეჭ რეზინს შეუძლია წონაში მატება გამოიწვიოს, რაც სპეციალისტების მოსაზრებით, რეცეპტორებზე კევის ზემოქმედებას უკავშირდება. ექსპერიმენტში 44 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთაც ჯერ ხილის ან პიტნის საღეჭი რეზინი მისცეს, შემდეგ კი შეთავაზებული კევების პროდუქტებიდან რაიმე უნდა. აღმოჩნდა, რომ ვინც პიტნის კევს ღეჭავდა, უპირატესობა ჩიფსსა და ტკბილეულს მიანიჭა და არა ხილს ან ბოსტნეულს. სწავლულების თქმით, მენთოლის გამო, კევი გარკვეულ რეცეპტორებზე მოქმედებს და ხილისა და სხვა პროდუქტის გემოს უსიამოვნოს ხდის, როგორც მაგალითად, კბილების გახეხვის შემდეგ ფორთოხლის წვენი. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პიტნის საღეჭი რეზინის მოყვარულები, ნაკლებ საკვებს იღებენ, მაგრამ ეს ჩიფსისა და ტკბილეულის შედეგად მიღებული კალორიების რაოდენობას არ ამცირებს.

ოჩსულთან მიკარება კანონით იკრძალა

პენსილვანიაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, მომავალი დედის მუცლის შეხების მსურველს, შესაძლოა, სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწიოს. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ეს უჩვეულო ინიციატივა შეწუხებული ფეხმძიმეების გამო მიიღეს: საქმე ის გახლავთ, რომ პენსილვანიის მცხოვრებნი ზედმეტი სენტიმენტალობით გამოირჩევიან — არ შეუძლიათ გულგრილად შეხედონ ორსულ ქალს... აქ მიღებულია, ნებისმიერი გამვლელი მიუახლოვდეს მომავალ დედას, შეეხოს მის მუცელს

და ჯანმრთელობა უსურვოს. ხელისუფლებამ ამ ფაქტებით შეწუხებული ქალების საჩივრები ყურად იღო და ახალი კანონიც „გამოაცხო“, რომლის დამრღვევსაც დააჯარიმებენ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფეხმძიმეს მუცელზე მისი თანხმობის გარეშე შეეხება.

ღიპი _ კაცის სიდამაზის საიდუმლო

ეთიოპია ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მამაკაცურ სილამაზეს ღიპით აფასებენ. აქაური, ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების აზრით, კაცი მაშინ არის მომხიბვლელი, თუკი მას დიდი მუცელი აქვს, ამიტომ ძლიერი სქესის ადგილობრივი წარმომადგენლები ყველა ხერხით ცდილობენ, მანდილოსნების ყურადღება სიმსუქნით მიიპყრონ და ამის გამო, თვიდან თვემდე, დიდი რაოდენობით ცხიმიან საკვებსა და სასმელს იღებენ. ტომის წევრები ყოველწლიურად კონკურსსაც კი ატარებენ, რომელშიც ღიპიანი კაცები მონაწილეობენ, მასში გამარჯვება კი გმირობის ტოლფასია. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად მამაკაცები მზადებას ნახევარი წლით ადრე იწყებენ — ყოველდღიურად ძროხის რძესა და სისხლსაც კი სვამენ, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს ჭარბი რაოდენობით ცხიმიანი სითხის მიღებას. ზოგ მამაკაცს იმხელა ღიპი აქვს, რომ ღონისძიების დღეს ლოგინიდან ვერ დგება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	7	3	2	5	6	1	9	8
2	1	9	7	8	4	6	5	3
8	6	5	9	3	1	4	2	7
6	5	4	3	2	9	8	7	1
1	2	8	5	4	7	9	3	6
9	3	7	6	1	8	5	4	2
7	9	2	1	6	5	3	8	4
5	4	6	8	7	3	2	1	9
3	8	1	4	9	2	7	6	5

სტანდარტი

8	3	7	4	9	6	5	2	1
5	6	1	3	7	2	4	9	8
2	4	9	8	1	5	3	7	6
1	9	6	2	5	3	7	8	4
7	2	4	6	8	1	9	3	5
3	8	5	9	4	7	6	1	2
9	1	8	7	6	4	2	5	3
4	5	3	1	2	9	8	6	7
6	7	2	5	3	8	1	4	9

რთული

5	7	3	1	4	2	9	6	8
6	9	4	8	3	7	1	5	2
2	1	8	9	6	5	7	4	3
4	8	2	7	1	9	6	3	5
3	6	1	5	2	4	8	9	7
9	5	7	6	8	3	4	2	1
8	3	9	2	7	6	5	1	4
7	4	6	3	5	1	2	8	9
1	2	5	4	9	8	3	7	6

ექსპერტი

5	6	4	2	1	9	8	3	7
3	9	2	4	8	7	1	6	5
1	8	7	6	5	3	9	4	2
8	5	1	9	3	4	2	7	6
9	2	6	1	7	5	4	8	3
7	4	3	8	2	6	5	1	9
6	7	8	5	4	2	3	9	1
4	3	5	7	9	1	6	2	8
2	1	9	3	6	8	7	5	4

მე-9 გვერდი: 1. ლორთქიფანიძე; 2. შიოლა; 3. ფეროუ; 4. კოტრიკაძე; 5. ინტერლინგვა; 6. აბსტინენცია; 7. ირავადი; 8. კლიშე; 9. ჩხიკვი; 10. ტასმანი; 11. გაცი; 12. ნიველირი; 13. კალჩო; 14. რეიგანი; 15. ნადი; 16. იკიკე; 17. სტატიკა; 18. უხა; 19. ნადი; 20. კატოვიცე; 21. აპისი; 22. ოპუნცია; 23. სარიდანი; 24. სეპტეტი; 25. ამინდი; 26. ციგა; 27. კოლბა; 28. ბულდოგი; 29. ემუ; 30. ია; 31. პიპია; 32. სისტოლა; 33. იბრაჰიმოვიჩი; 34. აბაი; 35. ძვალი; 36. ბონდი; 37. ბუმერი; 38. „ნათელა“; 39. პარკური; 40. კლდე; 41. დოლი; 42. სინაი; 43. დღე; 44. ეგიდა; 45. „რომენი“; 46. ერითრეა; 47. ფიბა; 48. ესკიმოსი; 49. იბერია; 50. ჰერეთი; 51. არადანი; 52. ნეი; 53. ლაპი; 54. უჯარმა; 55. აპერიტივი; 56. სია; 57. ბუკლე; 58. ტივი; 59. თარა; 60. მორუა; 61. სიმი; 62. ლეჩაქი; 63. „კოპელია“; 64. „ჯენოა“; 65. კაროლი; 66. რანჩო; 67. ეშმი; 68. პიროპი; 69. მოსადი; 70. აკრი; 71. ვო; 72. პა; 73. ურო; 74. ქამანჩა; 75. სამოა; 76. უზი; 77. ნამუსი; 78. ავი; 79. ასია; 80. მუსიკა; 81. აია.

მე-12 გვერდი: 1. მოსკოვი; 2. ოსტრაკიზმი; 3. ფაუ; 4. სცილა; 5. ვანგა; 6. ემბაზი; 7. ბარათელი; 8. ზადენი; 9. კონსტანცია; 10. უკულელე; 11. „ერნანი“; 12. ინვარი; 13. გოლი; 14. კორიდა; 15. ეპიკურე; 16. ია; 17. ოკარინა; 18. ალ; 19. მეთანი; 20. ელი; 21. ვანკუვერი; 22. ინდიგო; 23. პირანდელო; 24. ალტი; 25. ილია; 26. აული; 27. კარცერი; 28. იუპიტერი; 29. აფროდიტე; 30. დამოკლე; 31. მიკადო; 32. მალმი; 33. ფრუნზე; 34. სურა; 35. ალალი; 36. აგრიპა; 37. პიზა; 38. ასპიროზი; 39. ადელი; 40. ლოტი; 41. ოდა; 42. აირი; 43. ზეთი; 44. დოგი; 45. ბლოკი; 46. იეტი; 47. აია; 48. ციტადელი; 49. ილორი; 50. ბრუტო; 51. რადა; 52. აიზეკ; 53. გრუზია; 54. ეხი; 55. ნარიტა; 56. თარი; 57. კუნგ ფუ; 58. ფული; 59. რარიტეტი; 60. რი; 61. ელე; 62. ირისი; 63. „ლადა“; 64. იალნო.

1. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
2. საქონლის სუფთა წონა
3. მეფის სავარძელი
4. (ძვ.) ხვეწნა, მუდარა
5. დულსინეას ნამდვილი სახელი
6. მექალთანე მამაკაცი
7. მოსკოვის ტელეანძა
8. ჩიტი ძველ ქართულში
9. იხ. სურათი: ქანდაკების ავტორი
10. შოტლანდიელ მამაკაცთა სამოსი
11. კაპიტან ნემოს ხომალდი
12. სახმო სიმი ხორხში
13. ჯეიმს კემერონის ფილმი
14. ქალის პირბადე
15. ავსტრალიური სირაქლემა
16. იმპერატორ ადრიანეს საყვარელი
17. გამაგრილებელი სასმელი
18. წმინდა გიორგის სამშობლო
19. ბრაჟელონის ტიტული
20. აშშ-ის შტატი
21. ხერხემ. ძვალი
22. წყლის ფრინველი
23. როკ-ჯგუფი „... ფლოიდი“
24. ხორცის ფარშის კერძი
25. მდინარე ციმბირში
26. პოეტი ... ნადირაძე
27. მაუგლის მეგობარი პითონი
28. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
29. ცვილის ფიგურების შემქმნელი
30. ქრისტიანთა სამლოცველო
31. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი
32. კრემიანი ნამცხვარი
33. ჭადრაკის ფიგურა
34. წიწვოვანი მცენარე
35. გრძელი ბალანი ცხენის კისერზე
36. რუსული ჯიში
37. (ძვ.) მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი
38. ძვირფ. ქვა
39. ბრაზილ. ცეკვა
40. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
41. ისტ. მხარე სამხრეთ საქართვ.
42. ზეკისის მკვებავი თხა
43. ლენონის ქვრივი იოკო ...
44. ქალაქის ტიპის დასახლება
45. მომღერალი ... რამაზოტი
46. ფინური აბანო
47. პირის ღრუს ზედა ნაწილი
48. სენეგალის დედაქალაქი
49. შაქრის ლერწმის ჭრის დრო
50. წაგრძელებული მთა
51. გერმანიის ნაკრების ექსმეკარე
52. გარმონის ტიპის საკრავი
53. ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში
54. ხელის საგრილობელი
55. ბიბლიური პატრიარქი
56. პატარა საწნახელი
57. სასტუმროს მსახური ბიჭი
58. გაზაფხულის ყვავილი
59. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
60. ერთაოზის მამა „შეერკილებში“
61. ქიმიური ელემენტი
62. მთა თბილისთან
63. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
64. სიკოდოლიძის ფილმი
65. ორი წერტილი კამათელზე
66. დაპატიმრების უფლების საბუთი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შინდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.